

სასტაციო ლიტერატურა
სახელმძღვანელო უმაღლესი სამედიცინო
სასტაციებლების სტუდენტებისა და
ექიმებისთვის

იორამ თარხან-მოურავი, ნიკოლოზ სააკაშვილი,
ნელი კაპულია, ნანა გულშა,
ნანა ძათათელაძე, მარინა გიგილევიშვილი

სამკურნალო ფიზიკური ფაქტორების
გამოყენება დერმატოლოგიაში

თბილისი: თბპ, 2018

**UDC (უაკ) 616.5-08
ფ-361**

იორამ თარსან-მოურავი, ნიკოლოზ სააკაშვილი,
ნელი კაკულია, ნანა გულუა, ნანა ქუთათელაძე,
მარინა ბიბილეიშვილი
სამკურნალო ფიზიკური ფაქტორების გამოყენება
დერმატოლოგიაში
თბილისი, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი,
2018, 120 გგერდი

რეცენზენტი ბიოლოგის მაცხილებათა
დოქტორი, პროფესორი გიორგი ელიაშვი

ISBN 978-9941-27-797-9

სახელმძღვანელოში განხილულია კურორტული და ფიზიოთერაპიული ფაქტორები, რომლებიც გამოიყენება კანის დაავადებების სამკურნალოდ. მოცემულია მათი გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებები.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სამედიცინო ფაკულტეტების სტუდენტებისთვის, კურორტებზე, ფიზიოთერაპიულ კაბინეტებსა და დერმატო-ვენეროლოგიურ დისპანსერებში მომუშავე ექიმებისა და სამედიცინო პერსონალისთვის.

კურადღება!

საავტორო უფლებები დაცულია. ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იყოს კოპირებული ან გამრავლებული ნებისმიერი სახით. აღნიშნული ქმედება შეიძლება განხილული იყოს, როგორც საავტორო უფლებების დარღვევა, ყველა გამომდინარე შედეგით.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

თავი I. სამკურნალო ზოზიპური ფაზოლების გამოყენება დერმატოლოგიაში

ფიზიკურ ფაქტორებს ყოფენ ენერგიის სახისა და ორგანიზმზე მისი მოქმედების ხასიათის მიხედვით. აქედან გამომდინარე, სამკურნალო მეთოდებში გამოყოფენ რამდენიმე ჯგუფს. სამკურნალო, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციისთვის დერმატოლოგიაში გამოიყენება შემდეგი სამკურნალო მეთოდები:

1. მეთოდები, რომლებიც დამყარებულია კლიმატური ფაქტორების გამოყენებაზე – აეროთერაპია, ჰელიოთერაპია და თაღასოთერაპია.
2. მეთოდები, რომლებიც მიმართულია ბალნეოლოგიური ფაქტორების გამოყენებაზე – მინერალური წყლები, ნავთები (ნაფთალანი) და სამკურნალო ტალახები.
3. მეთოდები, რომლებიც დამყარებულია დაბალი ძაბვის მუდმივი დენის გამოყენებაზე – გალვანიზაცია და სამკურნალო ელექტროფორეზი.
4. მეთოდები, რომლებიც დამყარებულია დაბალი ძაბვის მუდმივი დენის გამოყენებაზე – ელექტროდილი, მოკლეიმპულსური ელექტროანალგეზია, დიადინამოთერაპია, ინტერფერენციერაპია.
5. მეთოდები, რომლებიც დამყარებულია მაღალი სიხშირის დენების გამოყენებაზე – დარსონვალიზაცია.

6. მეთოდები, რომლებიც დამყარებულია ელექტრული ველის გამოყენებაზე – ფრანკლინიზაცია, აეროიონოთერაპია და თერაპია ულტრამაღალი სიხშირის დენებით.

7. მეთოდები, რომლებიც დამყარებულია მაგნიტური ველის გამოყენებაზე – დაბალსიხშირიანი მაგნიტოთერაპია.

8. მეთოდები, რომლებიც დამყარებულია ზემადალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველების გამოყენებაზე – სანტიმეტრტალდოვანი თერაპია.

9. მეთოდები, რომლებიც დამყარებულია ოპტიკური დიაპაზონის ელექტრომაგნიტური რხევების გამოყენებაზე – ულტრააიისფერი, ხილული, ინფრაწითელი, და მონოქრომატული კოპერენტული, ანუ ლაზერული სხივების სამკურნალო გამოყენება.

10. მეთოდები დამყარებული მექანიკური რხევების გამოყენებაზე – ულტრაბგერითი თერაპია, ულტრაფონოფორეზი.

11. მეთოდები დამყარებული სიცივის გამოყენებაზე – კრიოთერაპია.

12. მეთოდები დამყარებული სითბოს გამოყენებაზე – პარაფინოთერაპია, ოზოკერიტოთერაპია, თიხით და ქვიშით მკურნალობა.

თავი II. ბუნებრივი სამკურნალო ფიზიკური ვაძლებების გამოყენება დერმატოლოგიაში

ბუნებრივი სამკურნალო ფიზიკური ფაქტორები, როგორც წესი, გამოიყენება კურორტებზე. კურორტული მკურნალობის დროს ავადმყოფის ორგანიზმზე კომპლექსში მოქმედებს რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ახასიათებს ამა თუ იმ კურორტს ან საკურორტო ადგილს: პავა, მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახები, ზღვის და ლიმანის წყალი.

საკურორტო სამკურნალო დაწესებულებებში ფართოდ დანერგილია დერმატოზების კომპლექსური თერაპია ბუნებრივი ფაქტორებისა და სხვადასხვა სამკურნალო საშუალებების გამოყენებით. ეს იწვევს უფრო სწრაფ და უფრო გამოხატულ თერაპიულ ეფექტს. კურორტოთერაპია ხელს უწყობს რემისის გახანგრძლივებას და გამწვავების რეციდივების შემცირებას.

კურორტებზე წარმატებით მკურნალობენ კანის დაავადებებს რემისის პერიოდში, სტაციონარულ და რეგრესიის სტადიებში. ეს დაავადებებია: ეგზემა, ნეიროდერმიტი, წითელი ბრტყელი ლიქენი, კანის ქავილი, სკლეროდერმია, ჭინჭრის ციება, იქტიოზი (იხტიოზი), თანდაყოლილი ბულოზური ეპიდერმოლიზი, კანის ტუბერკულოზის ზოგიერთი ფორმა (ტუბერკულოზური მჭამელა, კანის პაპულურ-ნეკროზული ტუბერკულოზი, ინდურაციული ერითემა), ქვედა კიდურების წყლულები.

2.1. ქლიმატური ფაქტორებისა და თაღასოთერაპიის გამოყენება დერმატოლოგიაში

ჰაერის აბაზანებით მკურნალობას ჰქვია აერო-
თერაპია, ხოლო მზის აბაზანებით მკურნალობას –
ჰელიოთერაპია. მათი მიღების ხანგრძლივობა
დამოკიდებულია ავადმყოფის ასაკსა და მის საერთო
მდგომარეობაზე. აღნიშნული აბაზანების მიღება
ხელს უწყობს ორგანიზმის გაკაუებას და ზრდის მის
იმუნოლოგიურ აქტივობას.

**დერმატოლოგიაში აეროთერაპიისა და ჰელიო-
თერაპიის გამოყენების ჩვენებები:** ეგზემა, ფსორიაზი,
ქრონიკული დერმატიტები, ალერგიული გამონაფარი.

ჰაერის აბაზანებს იღებენ საუზმის და სადი-
ლის შემდეგ 1.5-2 საათში. ჰაერის პირველი აბაზა-
ნების ხანგრძლივობა 5-15 წუთია, ხოლო შემდგომში
თანდათანობით მათი ხანგრძლივობა იზრდება 1-2
საათამდე.

**დაავადებები, რომელთა დროს აეროთერაპიის
გამოყენება უკუნაჩვენებია:** მწვავე რესპირატორული
დაავადებები; ციებ-ცხელება; თირკმლების, სახსრე-
ბისა და პერიფერიული ნერვული სისტემის ქრონი-
კული დაავადებების გამწვავებები; გულ-სისხლ-
ძარღვთა სისტემის პათოლოგიები III-IV ფუნქ-
ციური კლასის გულის უკმარისობით (ნიუ-იორკის
კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); მწვავე
პნევმონია; ბრონქული ასთმა ხშირი შეტევებით;
ფილტვების ტუბერკულოზი აქტიურ სტადიაში;
სუნთქვითი ორგანოების ქრონიკული დაავადებები III
სტადიის სუნთქვის უკმარისობით ან II სტადიის

ფილტგულის უკმარისობით (ა. დემბოს კლასიფიკაცია); ადრეული პერიოდი ფილტვებზე ჩატარებული ოპერაციების შემდეგ; გაზრდილი მგრძნობიარობა სიცივის მიმართ

პელიოთერაპიას – მზით დასხივებას პროფილაქტიკური და სამკურნალო მიზნებით ატარებენ აეროსოლარიუმებსა და სამედიცინო პლაჟებზე.

მზის ჯამური რადიაციის აბაზანების დოზირების ყველაზე ძველი და ადვილად ხელმისაწვდომია დოზირება წუთებში.

პელიოთერაპიას იწყებენ 5-10 წუთიდან (2,5-5 წუთი სხეულის უკანა და წინა ზედაპირზე) და ყოველი შემდგომი დასხივების ხანგრძლივობას ზრდიან 5 წუთით. პროცედურის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 30-40 წუთი. მკურნალობის გურსი მოიცავს 12-24 პროცედურას.

მზის ჯამური რადიაციის აბაზანების დოზირების უფრო ზუსტი მეთოდია დოზირება მზის გამოსხივების სიმკვრივით ($\text{გჯ}/\text{გ}^2$). საწყისი დოზა, რომელსაც პირობით ეძახიან სამკურნალო დოზას, შეადგენს $210 \text{ გჯ}/\text{მ}^2$. აბაზანები ტარდება ყოველდღე ან დღეგამოშევებით. ყოველ პროცედურაზე მზის გამოსხივების სიმკვრივე იზრდება 200 $\text{გჯ}/\text{მ}^2$. მზის რადიაციის მაქსიმალური სიმკვრივე აბაზანაში დამოკიდებულია ავადმყოფის მდგომარეობაზე და აღწევს $800-4800 \text{ გჯ}/\text{მ}^2$.

დაავადებები, რომელთა დროს პელიოთერაპიის გამოყენება უკუნაჩვენებია: დაავადებები მწვავე და გამწვავების სტადიებში; სისხლდენა; კახექსია;

ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეები; გულის იშემიური დაავადების III-IV ფუნქციური კლასის დაძაბვის სტაბილური სტენოკარდია (კანადის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); არტერიული ჰიპერტენზიის III სტადია (ჯმო-ს კლასიფიკაცია); ტუბერკულოზის პროგრესირებადი ფორმები; რევმატიზმი; სისტემური წითელი მჭამელა; ბრონქული ასთმა ხშირი შეტევებით; თირეოტოქსიკოზი და ენდოკრინული ორგანოების სხვა დაავადებები ამ ორგანოების ფუნქციების მნიშვნელოვანი დარღვევებით; სისხლის სისტემური დაავადებები; სირინგომიელიტი; გაფანტული სკლეროზი; ფოტოდერმატოზები; მალარია.

თალასოთერაპია წარმოადგენს ზღვის სანაპიროს პირობებში სხვადასხვა კლიმატური, ბალნეოლოგიური და ჰიდროთერაპიული ფაქტორების გამოყენებას სამკურნალო და გაპაშების მიზნებისთვის.

ზღვაში ბანაობის დროს ადამიანის ორგანიზმე ზეგავლენას ახდენს ზღვის წყალში გახსნილი მარილები და აირები, წყლის ტემპერატურა, მექანიკური გაღიზიანება (წყლის სიმკვრივე, ბუნებრივი ვიბრომასასაუ), მზის რადიაცია და ზღვის ჰაერი.

თალასოთერაპიას აქვს მოდუნებითი და დამამშვიდებელი მოქმედება, ახდენს ანთების საწინააღმდეგო ზეგავლენას, წმენდს კანს, აუმჯობესებს სისხლის და ლიმფის მიმოქცევას, ზრდის მუნიციპის სისტემის აქტივობას.

ზღვის წყალი შეიცავს 1-5% სხვადასხვა მარილის იონებს (ნატრიუმის, კალციუმის, ქლორის, მაგნიუმის, ბრომის, იოდის და სხვა იონებს). რეკომენდებულია ბანაობა ზღვის წყალში, რომლის ტემპერატურა არანაკლებ 18°C-ისა. ბანაობის პირველი პროცედურის ხანგრძლივობა 1-2 წუთია და თანდათანობით იზრდება 10-20 წუთამდე.

დერმატოლოგიაში თაღასოთერაპიის გამოყენების ჩეკენებები: ეგზემა, ფსორიაზი, ნეიროდერმიტი, ქრონიკული დერმატიტები.

დაავადებები, რომელთა დროს ზღვაში ბანაობა უპუნაჩვენებია: ციებცხელებიანი მდგომარეობა; დაავადებები მწვავე სტადიაში; ბრონქული ასთმა ხშირი შეტევებით; ცენტრალური ნერვული სისტემის პათოლოგიებისა და ტრავმების შედეგები; ეპილეფსია; ქვედა კიდურების სისხლძარღვების ათეროსკლეროზი; თირკმლების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და სისხლის პათოლოგიები; გულის და გულ-ფილტვის გამოხატული უკმარისობა.

2.2. ბალნეოლოგიური ფაქტორებისა და პელოიდების გამოყენება დერმატოლოგიაში

ბალნეოლოგიურ კურორტებზე ძირითადი სამკურნალო ფაქტორია მინერალური წყლები, ხოლო პელოიდურ კურორტებზე – სამკურნალო ტალახი,. დერმატოლოგიურ პრაქტიკაში უფრო ხშირად გამოიყენება გოგირდწყალბადიანი (სულფიდური), რადონის და ნახშირმჟავა მინერალური წყლები.

გოგირდწყალბადიან (სულფიდურ) მინერალურ წყლებს, რომელშიც 30 – 150 მგ/ლ გოგირდწყალბადია, უნიშნავენ ავადმყოფებს ყოველდღე ან დღეგამოშვებით. პროცედურის ხანგრძლივობა 5-10 წუთია, მკურნალობის კურსი შეადგენს 10-15 აბაზანას.

დერმატოლოგიაში გოგირდწყალბადიანი მინერალური წყლების გამოყენების ჩვენებები: ქრონიკული დერმატოზები სტაციონარულ ან რეგრესიის სტადიებში – ეგზემა, ფსორიაზი, პროფესიონალური ნეიროდერმატოზები, სკლეროდერმია, წითელი ბრტყელი ლიქენი, ჭინჭრის ციება და იქტიოზი.

ცხელი გოგირდწყალბადიანი (სულფიდური) მინერალური წყლები (წყლის ტემპერატურა $>42^{\circ}\text{ C}$) ადგილობრივი ბალნეოპროცედურების სახით გამოიყენება დერმატოლოგიაში ქვედა და ზედა კიდურების სამკურნალოდ. აღნიშნული წყლები ასევე გამოიყენება ჩასაჯდომ აბაზანებში და აღმავალი შხაპების სახით ნეიროდერმიტის, შორისის და უკანა ტანის ქრონიკული ეგზემის სამკურნალოდ, გოგირდწყალბადიანი (სულფიდური) მინერალური წყლის შხაპებს და შხაპმასაჟებს უნიშნავენ ფსორიაზის სტაციონარული ფორმებისა და სკლეროდერმის მქონე ავადმყოფებს. სებორეის დროს გამოიყენება თავის და სახის დაბანა გოგირდწყალბადიანი (სულფიდური) მინერალური წყლით.

დაავადებები, რომელთა დროს გოგირდწყალბადიანი (სულფიდური) მინერალური წყლების

აბაზანების მიღება უგუნაჩვენებია: თავის ტვინის სისხლძარღვების გამოხატული ათეროსკლეროზი; ღვიძლისა და თირკმლების დაავადებები მათი ფუნქციების მნიშვნელოვანი დარღვევით; ბრონქული ასთმა; ჰიპერთირეოზი; კუჭის წყლული გამწვავების სტადიაში; ტუბერკულოზი; წყლით მკურნალობის ზოგადი უკუჩვენებები.

გოგირდწყალბადიანი (სულფიდური) მინერალური წყლების გამოყენების მეთოდიკა: ზოგადი აბაზანის მიღებისას გოგირდწყალბადიანი (სულფიდური) მინერალური წყლის ტემპერატურა უნდა იყოს $35-37^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში, პროცედურის ხანგრძლივობა – 8-12 წუთი, სულფიდების კონცენტრაცია – 50-100-150 მგ/ლ-ში. აბაზანები ინიშნება დღეგამოშვებით ან 2 დღე ზედიზედ. მესამე დღეს რეკომენდებულია დასვენება. მკურნალობის კურსი მოიცავს 10-15 აბაზანის მიღებას. ადგილობრივი ორ ან ოთხამერიანი აბაზანები ტარდება 10-20 წუთის ხანგრძლივობით (წყლის ტემპერატურა უნდა იყოს $36-38^{\circ}\text{C}$). ადგილობრივი აბაზანები ინიშნება ყოველდღე ან დღეგამოშვებით. მკურნალობის კურსი მოიცავს 12-20 აბაზანის მიღებას.

აბაზანის მიღების შემდეგ პაციენტი ტანს (კიდურებს) შეიშრობს პირსახოცით (დაზელის გარეშე) და აუცილებლად ისვენებს მწოლიარე მდგომარეობაში (არანაკლებ – 20-30 წუთით), შემდეგ კი აგრძელებს დასვენებას საცხოვრებელ ადგილას 1-1,5 საათის განმავლობაში.

კურორტები გოგირდწყალბადიანი (სულფი-დური) წყლებით: მაცესტა, პიატიგორსკი, ტალგი, კაიავენტი, უსტკაჩკა (რუსეთი), ნუნისი, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი (საქართველო), ონსენი (იაპონია), ახენი, ბად ლანგენზალცა (გერმანია), პოსუსდიკალდას (ბრაზილია) და სხვ.

აბაზანები რადონის მინერალური წყლით მოქმედებენ უფრო რბილად, ვიდრე გოგირდწყალბადიანი (სულფიდური). კანის ანთებით კერებში აღნიშნული აბაზანები ამცირებენ გამაღიზიანებელი ნივთიერებების (პისტამინის, სეროგონინის, ბრადიკინინის) გამომუშავებას. ეგზემისა და ჭინჭრის ციების იმ ფორმების დროს, რომლებსაც თან ახლავს მედეგი წითელი დერმოგრაფიზმი, რადონის აბაზანები ასუსტებენ მწვავე ანთებით პროცესებს კანში, სისხლძარღვების შეღწევადობის შემცირების და აღნიშნული მიღების შევიწროების გამო.

დერმატოლოგიაში რადონის მინერალური წყლის აბაზანების მიღების ჩვენებები: პროგრესი-რებადი მიმდინარეობის ფსორიაზი, ატოპიური დერმატიტი და კანის ქავილი.

დაავადებები, რომელთა დროს რადონის მინერალი წყლების აბაზანების მიღება უკუნაჩვენებია: მწვავე ანთებითი პროცესები; ლეიკოპენია; ორსულობა; ხშირი სისხლძარღვოვანი კრიზები; გულის იშემიური დაავადების III–IV ფუნქციური კლასის დაძაბვის სტაბილური სტენოკარდია (კანადის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია), გულის უქმარისობის III–IV ფუნქციური კლასი (ნიუ-

იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასი-ფიკაცია); სისხლის დაავადებები; ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეები (პატარა ფიბრო-მიომების გამონაკლისით); ტუბერულოზი აქტიურ სტადიაში; სხივური დაავადება; პროფესიული კონტაქტები მაიონიზირებელ გამოსხივებებთან; ნეირო-ენდოკრინული წარმოშობის საკვერცხების პიპო-ფუნქცია; პიპოთირეოზი; ეპილეფსია; ნევროზების მძიმე ფორმები; რადონის მინერალური წყლის აუტანლობა.

რადონის აბაზანის მიღების ხანგრძლივობა შეადგენს 5-15 წუთს. პროცედურები ტარდება ყოველ-დღე. მკურნალობის კურსი მოიცავს 12-15 პროცე-დურას.

კურორტები რადონის მინერალური წყლებით: წყალტუბო (საქართველო), პიატიგორსკი, ბელოკუ-რისა (რუსთი), ბად ბრამბახი (გერმანია), ბად გაშტაინი (ავსტრია), ლაკო აბენო, მერანო (იტალია) და სხვ.

ნახშირმჟავა მინერალურ წყლებს იყენებენ დერმატოლოგიაში იმ ავადმყოფთა სამკურნალოდ, რომლებსაც აღენიშნებათ კანის დერმატოზების ქრონიკული ან რეგრესიის სტადიები და მედეგი თეთრი ან სუსტი წითელი დერმოგრაფიზმი – ტორპიდულად მიმდინარე ფსორიაზი, ნეიროდერ-მიტი, ქრონიკული უგზემა, კანის ქავილი და სხვ.

ნახშირმჟავა მინერალური წყლის აბაზანის მიღების ხანგრძლივობა შეადგენს 12-15 წუთს. აბა-

ზანებს უნიშნავენ დღეგამოშვებით. მკურნალობის კურსი მოიცავს 12-15 პროცედურას.

დაავადებები, რომელთა დროს ნახშირმჟავა მინერალური წყლების აბაზანების მიღება უკუნა-ჩვენებია: არტერიული ჰიპერტენზია II-III სტადია (ჯმო-ს კლასიფიკაცია); გულის უქმარისობის II-IV ფუნქციური კლასი (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); გულის იშემიური დაავადების დაძაბვის სტადილური სტენოკარდიის II-IV ფუნქციური კლასი (კანადის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); მიოკარდიუმის ინ-ფარქტი; ნეფრიტები; ნეფროზები; წყლით მკურნა-ლობის ზოგადი უკუჩვენებები.

ნახშირმჟავა მინერალური წყლების მქონე კურორტებია: კისლოვოდსკი, ნალჩიკი, შმაკოვკა (რუსეთი), ბორჯომი, ნაბედლავი (საქართველო), ჩერნიავა-ზდრუ (პოლონეთი), ბორსეკი (რუმი-ნეთი), ბად ვილდუნგენი (გერმანია) და სხვ.

ნაფთალანის ნავთობის გამოყენება სამკურ-ნალო მიზნებისთვის: ნაფთალანის ნავთობი მნიშვნელოვნად განსხვავდება სამრეწველო ნავთობისგან. მისი საბადო აზერბაიჯანის კურორტ ნაფთალანშია, რომელიც განჯიდან 45 კმ-ში მდებარეობს. ნაფთალანის ნავთობი სქელი, სიროვის მსგავსი მასაა, მუქი შავი ფერის, თავისებური არომატული სუნის. მრავალრიცხოვანი კლინიკურ-ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგად დადგინდა ნაფთალანის მაღალი ოერაპიული ეფექტი.

ნაფთალანის პროცედურების სამკურნალო ეფექტები: ანალგეტიკური, ანთების საწინააღმდეგო და მადესენსიბილიზებელი მოქმედება; აუმჯობესებს ტროფიკასა და ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში; აფართოებს სისხლძარღვებს; იწვევს სპერმატოგენეზის, ოვულაციისა და ოვოგენეზის პროცესების სტიმულაციას.

დერმატოლოგიაში ნაფთალანის გამოყენების ჩვენებები: ფსორიაზი, ეგზემა, ატოპიური დერმატიტი, ვარდისფერი ლიქენი, ფურუნგულები, პიოდერმიტი, ჭინჭრის ციება, სკლეროდერმია, კანის ქავილი, ჭრილობები, ტორპიდული წყლულები, იქტიოზი, კერატოდერმია.

დაავადებები, რომელთა დროს ნაფთალანის გამოყენება უკუნაჩენებია: დაავადებები მწვავე სტადიაში; ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსიგნები; ფსიქიკური დაავადებები; სისხლის ყველა დაავადება; მასტოპათიები; მიოპათიები; შარდკენჭოვანი დაავადება; ნაღველკენჭოვანი დაავადება; პარკინსონის დაავადება; ენცეფალოპათია; ეპილეფსია; ტაკაიასუს სინდრომი; გადატანილი ინფარქტის შემდგომი მდგომარეობა; III სტადიის არტერიული ჰიპერტენზია (ჯმო-ს კლასიფიკაცია); გულის II-IV ფუნქციური კლასი (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); გულის რიტმის დარღვევები; ორსულობა და ლაქტაციის პერიოდი; ინფექციური და ვენერული დაავადებები; კანის საფარის პარაზიტული და ვირუსული

დაავადებები; კვანძიანი ტოქსიკური ჩიყვი; ოპერაციის შემდგომი პერიოდი, არანაკლებ 6 თვისა.

ავადმყოფებს ნაფთალანის პროცედურებს უტარებენ ზოგადი და ადგილობრივი აბაზანების სახით.

ზოგადი აბაზანების მიღებისას ნაფთალანის ტემპერატურა უნდა იყოს $37\text{--}38^{\circ}\text{C}$. აბაზანის ხანგრძლივობა კანის დაავადებების დროს 15-20 წუთია. აბაზანები ტარდება 2 დღე ზედიზედ, მესამე დღეს ავადმყოფი ისვენებს. მკურნალობის კურსი შედგება 10-15 აბაზანისაგან. აბაზანის მიღების შემდეგ ავადმყოფებს ნაფთალანის ნავთობის ნარჩენებს ხის დანით აცლიან, წმენდენ ბამბით ან ნავთსასრუტი აპარატით. შემდეგ ავადმყოფი იღებს ცხელ ($38\text{--}40^{\circ}\text{C}$) შხაპს და ისვენებს 30-40 წუთი.

ნაფთალანის ადგილობრივი აბაზანების მიღებისას პროცედურის ხანგრძლივობა 10-15 წუთია. მკურნალობის კურსი მოიცავს 15-20 პროცედურას.

პელოიდოთერაპია წარმოადგენს მკურნალობას ტალახით. პელოიდოთერაპიისთვის ძირითადად გამოიყენება ლამის სულფიდური და ტორფის (ტუტე და მჟავე ტორფები) სამკურნალო ტალახები აქტიური ელემენტების (გოგირდწყალბადი, რკინა და სხვ.) სხვადასხვა რაოდენობით.

$40\text{--}44^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის მქონე სამკურნალო ტალახი ახდენს დაცხობით ზემოქმედებას, $35\text{--}37^{\circ}\text{C}$ ტემპერატურისა კი – ნეირო-ვეგეტატიურ, მარჯგულირებელ და მასტიმულირებელ ზეგავლენას.

დერმატოლოგიაში პელოიდოთერაპიის გამოყენების ჩვენებები: ართოპათიული ფსორიაზი, კეროვანი და დიფუზური ნეიროდერმიტი, ქრონიკული კალოზური და რქოვანი ეგზემა, შემოფარგლული სკლეროდერმია და წითელი ბრტყელი ლიქენის პიკერტროფული ფორმა.

სამკურნალო ტალახის აბაზანები ინიშნება დღეგამოშვებით ან ზედიზედ 3 დღე. დასვენება ყოველ მე-4 დღეს. აბაზანის ხანგრძლივობა შეადგენს 10-15 წუთს. მკურნალობის კურსია 10-15 პროცედურა.

დაავადებები, რომელთა დროს პელოიდოთერაპიის ჩატარება უაუნაჩვენებია: მწვავე ანთებითი პროცესები; ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები; მიო-მები; ფიბრომიომები; სისხლდენები და სისხლდენებისკენ მიდრეკილება; ტუბერკულოზი; არტერიული ჰიპერტენზის III სტადია (ჯმო-ს) კლასიფიკაცია); გულის იშემიური დაავადების III-IV ფუნქციური კლასი; გულის უკმარისობის II-IV ფუნქციური კლასი (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); გულის კომბინირებული მანკები გამოხატული სტენზით; აორტისა და გულის ანევრიზმები; ვენების ვარიკოზული გაფართოება; გამოხატული ათეროსკლეროზი; ენდოკრინული დაავადებების გამოხატული ფორმები; ფსიქიკური დაავადებები, ეპილეფსია; კახექსია; ორსულობა; ინფექციური დაავადებები მწვავე და გადამდებ სტადიებში; სამკურნალო ტალახის აუტანლობა.

კურორტები ლამის სულფიდური ტალახით:
საკი, ევპატორია, კულიალნიკი (უკრაინა), გურიევი
(რუსეთი), ლაკო ამენო (იტალია), ლაკუ როშუ
(რუმინეთი) და სხვ.

კურორტები ტორფის სამკურნალო ტალახით:
დრუსინინკაი (ლიტვა), ზელიონი გოროდოკი,
კრაინკა (რუსეთი), ბად ვილსნაკი, ბად ბერკა, ლო-
ბენშტაინი (გერმანია) და სხვ.

**თავი III. ზოზიოთერაპიული ჰაერორეჟის
გამოყენება დერმატოლოგიაში**

3.1. გალვანიზაცია და სამკურნალო იონტოფორეზი
დაბალი ძაბვისა (30-60 ვოლტი) და მცირე ძალის (50 მა) მუდმივი უწყვეტი გალვანური დენის გამოყენებას მკურნალობისთვის გალვანიზაცია ეწოდება. სამკურნალო იონტოფორეზი მეთოდია, რომელიც მოიცავს ორგანიზმში მუდმივი გალვანური დენის ზემოქმედებით სამკურნალო ნივთიერებების შეყვანის პროცესს. ელექტრული ველის ზემოქმედებით დისპერსული ნაწილაკების თხევადი ფაზის მიმართებაში მოძრაობის ფენომენს კი ეწოდება იონტოფორეზი.

სამკურნალო ნივთიერებები ქსოვილებში ძირითადად აღწევს საოფლე და ცხიმის ჯირკვლების გამოყოფი სადინარებიდან, ნაკლებად – უჯრედშორისი სივრცეებიდან. იონტოფორეზის პროცედურის ჩატარებისას ორგანიზმში შეღწეული სამკურნალო ნივთიერებების დოზა გამოყენებული რაოდენობის 5-10%-ს შეადგენს. დიდი კონცენტრაციის ხსნარების გამოყენებამ არ მოგვცა დადებითი შედეგი, რადგანაც ამ შემთხვევაში იონების ელექტროსტატიკური ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება შეკავების იონტოფორეზული და რელაქსაციური ძალები. სამკურნალო ნივთიერებების შეღწევა ხდება არც ისე დრმად და გროვდება ძირითადად ეპიდერმისსა და დერმაში, წარმოიქმნება ე.წ. იონების კანის დეპო. ამ დეპოში იონებს შეუძლიათ 1-2-დან 15-20 დღე-დამედე დაყოვნება. შემდგომში სამკურნალო ნივთიერებები თანდათან

დიფუნდირდება ლიმფურ სადინარებსა და სისხლ-ძარღვებში და ვრცელდება მთელ ორგანიზმში. კანქვეშა დეპოს შექმნა განაპირობებს ნივთიერებების ხანგრძლივ მოქმედებას. ამის გამო სამკურნალო ნივთიერებების იონტოფორეზს რიგი უპირატესობები გააჩნია წამლისმიერი თერაპიის სხვა მეთოდებთან შედარებით. კერძოდ:

ა. იონტოფორეზის მეთოდის საშუალებით დაზიანების ზონაში ან პათოლოგიურ კერაში შესაძლებელია შეიქმნას სამკურნალო საშუალებების მაღალი კონცენტრაცია, რაც არ საჭიროებს მათ მიერ მთელი ორგანიზმის გაჯერებას.

ბ. იონტოფორეზის მეთოდი უზრუნველყოფს პათოლოგიურ კერაში სამკურნალო ნივთიერებების მიტანას მაშინ, როცა დაზიანების რაიონში დარღვეულია სისხლის მიმოქცევა კაპილარული სტაზის, სისხლძარღვთა თრომბოზის, ნეკროზის და ინფილტრაციის გამო.

გ. ორგანიზმი მუდმივი დენიო შეყვანილი წამლები პრაქტიკულად არ იწვევს გვერდით მოვლენებს, რადგან სისხლში ნივთიერებათა კონცენტრაცია დაბალია, ხოლო მუდმივი დენი ახდენს დესენსიბილიზაციურ ზემოქმედებას.

დ. იონტოფორეზის მეთოდი უზრუნველყოფს წამლების პროლოგირებულ ზემოქმედებას, რაც განპირობებულია კანის დეპოდან მათი თანდათანობით გადასვლით (1-3 დღიდან 20 დღემდე).

ე. იონტოფორეზის საშუალებით წამლების შეყვანა უმტკივნეულოა და არ იწვევს კანისა და ლორწოვანის დაზიანებას.

წამლების ზემოქმედება შეიძლება მნიშვნელოვნად გაძლიერდეს მათი იონიზირებული სახით შეყვანისას.

გალვანიზაციისა და სამკურნალო იონტოფორეზის თერაპიული ეფექტები: გალვანიზაციის პოტენცირებული ეფექტები და სამკურნალო ნივთიერებების დენით შეყვანის სპეციფიკური ფარმაკოლოგიური ეფექტები.

გალვანიზაციისა და სამკურნალო ნივთიერებებით იონტოფორეზის პროცედურის დოზირება დამყარებულია დენის ძალასა და სიმკვრივეზე, ზემოქმედების ხანგრძლივობაზე. დენის სიმკვრივის მაქსიმალური სიდიდე ჰიდროფილური საფენის 1 სმ² ფართზე დასაშვებია 0,1 მა საფენის 1 სმ²-ზე. ზემოქმედების ოპტიმალური ინტენსივობის მთავარი კრიტერიუმია ავადმყოფის მიერ „ჭიანჭველების ცოცვის“, მსუბუქი ჩხვლეტისა ან ძალიან სუსტი წვის შეგრძნება ელექტროდების მოთავსების ადგილზე. წვის შეგრძნების განვითარება უკვე მანიშნებელია იმისა, რომ უნდა შემცირდეს დენის სიმკვრივე. პროცედურის ხანგრძლივობა შეიძლება მერყეობდეს 10-15 წუთიდან (საერთო და სეგმენტურ-რეფლექსური ზემოქმედებისას) 30-40 წთ-მდე (ადგილობრივი პროცედურებისას). მკურნალობის გურსი მოიცავს 10-12-20 პროცედურას. პროცედურები ტარ-

დება ყოველდღე ან დღეგამოშვებით. განმეორებითი კურსი ტარდება არა უადრეს 1 თვისა.

ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატები, რომლებიც იონტოფორეზისათვის გამოიყენება დერმატოლოგიურ პრაქტიკაში:

ა. ლამიზილი 1% , 1-2 მლ.

ბ. B ჯგუფის ვიტამინები – B₁ 2%-იანი; B₁₂ 100-200 მგბ; E ვიტამინი - 2%-იანი ხსნარები (0,5 მლ პროცედურაზე);

გ. პიდროკორტიზონი: 1 ამპულა გახსნილი 0,2% ნატრიუმჰიდროკარბონატის ხსნაში ან წყალში, რომლის pH-ია 0,9;

დ. დელაგილი 2.5%-იანი.

გალვანიზაციისა და იონტოფორეზისათვის გამოიყენება პორტატიული დანადგარები: „პოტოკი-1” (Поток-1), „გრ-2” (ГР-2) (აპარატი გამოიყენება პირის ღრუში გალვანიზაციის და სამკურნალო იონტოფორეზის პროცედურების ჩასატარებლად) , „გრ-2” (ГР-2) (აპარატი გამოიყენება ზედა და ქვედა კიდურებზე გალვანიზაციისა და სამკურნალო იონტოფორეზის პროცედურების ჩასატარებლად ოთხსაკნიან აბაზანაში) და სხვ.

თერაპიული ამოცანების გათვალისწინებით გამოიყენება ადგილობრივი და საერთო გალვანიზაცია, აგრეთვე რეფლექტორულ-სეგმენტური ზონების გალვანიზაცია. ადგილობრივი მოქმედებისას ელექტროდებს ათავსებენ ისე, რომ ელექტროგელის ძალხაზები გადიოდნენ პათოლოგიურ კერაზე. საერთო მეთოდიკების გამოყენებისას ზემოქმედებას

განიცდის ორგანიზმის უმეტესი ნაწილი. სებ-
მენტურ-რეფლექტორული იონტოფორეზის დროს
ელექტროდები თავსდება კანის იმ უბანზე, რომე-
ლიც რეფლექტორულად დაკავშირებულია განსაზ-
ღვრულ ორგანოებთან და ქსოვილებთან.

კანის დაზიანებულ უბანზე იონტოფორეზის პროცედურის ჩატარების მეთოდიკა: პაციენტის მდებარეობა პროცედურების ჩატარების დროს წოლითი ან მჯდომარეა, ელექტროდების განლაგება – განივი ან განივ-დიაგონალური. ჭრილობის ზედაპირს (კანის დაზიანების მიდამო) აფარებენ 23 ფენა ნატრიუმის ქლორიდის იზოტონურ ხსნარში ან სამკურნალო ნივთიერების ხსნარში დასველებულ სტერილურ დოლბანდს. ის უნდა ფარავდეს დაზიანებულ უბანს მთლიანად და გადადიოდეს კიდევებიდან 0.5 სმ-ით. დოლბანდს ადებენ მასზე მეტი ზომის ელექტროდს (ელექტროდი უნდა გადა- დიოდეს ჭრილობის კიდევებიდან 4-6 სმ-ით ყოველი მხრიდან) და უერთებენ ერთ-ერთ პოლუსს. მეორე ელექტროდს ათავსებენ განივად ან განივ-დიაგონა- ლურად დაზიანებასთან მიმართებაში და უერთებენ მეორე პოლუსს. დენის ძალას საზღვრავენ დენის სიმკვრივის ($0.05\text{--}0.1$ მა/სმ²) გამრავლებით დაზი- ანების უბნის ფართობზე. პროცედურის ხანგრძლი- ვობა 15-20 წთ-ია. მკურნალობის კურსი 10-20 პრო- ცედურაა.

ზოგადი გალვანიზაციისა და იონტოფორეზის პროცედურების ჩატარება ვერმელის მეთოდით: ავადმყოფის მდებარეობა - წოლითი. ელექტროდს

ათავსებენ 15-20 სმ ზომის პიდროფილურ საფენში, რომელიც დასველებულია წყლით ან შესაბამისი სამკურნალო ნივთიერებით, აფიქსირებენ ბეჭთაშუა არეში და უერთებენ აპარატის ერთ-ერთ კლემას. ორი სხვა ელექტროდიდან წყლით ან შესაბამისი სამკურნალო ნივთიერებით დასველებულ პიდროფილურ საფენებში ზომით 10-15 სმ, ერთს ათავსებენ მარჯვენა წვივის კუნთზე, მეორეს - მარცხენა წვივის კუნთზე. ორივე ელექტროდს უერთებენ აპარატის მეორე კლემას. დენის ძალა - 3-10 მა; პროცედურის ხანგრძლივობა - 10-20 წუთი. მკურნალობის კურსია 15-20 პროცედურა. პროცედურები ტარდება ყოველდღე ან დღეგამოშვებით.

დერმატოლოგიაში გალვანიზაციისა და სამკურნალო იონტოფორეზის გამოყენების ჩვენებები: კანის ყველა დაავადება, უგზემის და დერმატიტების გარდა.

გალვანიზაციისა და სამკურნალო იონტოფორეზის გამოყენების უპუჩვენებები: მწვავე ანთებითი და ჩირქოვანი პროცესები; III-IV ფუნქციური კლასის გულის უკმარისობა (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); არტერიული ჰიპერტენზიის III სტადია (ჯმო-ს კლასიფიკაცია); გულის იშემიური დაავადების დაძაბვის სტაბილური სტენოკარდიის III-IV ფუნქციური კლასი (კანადის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); სისხლის სისტემური დაავადებები; მკვეთრად გამოხატული ათეროსკლე-

როზი; მიდრეკილება სისხლდენისკენ; ციებ-ცხელებიანი მდგომარეობა; ეგზემა; დერმატიტები; ელექტროდენის ან წამლის აუტანლობა; ელექტრო-დების დადების ადგილას კანის საფარის მთლიანობის დაზიანება; ავთვისებიანი სიმსივნეები; კანის მგრძნობელობის მოშლა; ორსულობა; კახექსია.



გალვანიზაციის და იონტოფორეზის აპარატი „პოტოკ -1“

3.2. ელექტროძილი

ელექტროძილი ადამიანის ნერვულ სისტემაზე მუდმივი იმპულსური (იმპულსები უპირატესად სწორკუთხოვანი ფორმისაა, ხოლო მათი ხანგრძლივობა 0,2-2 მ/წმ), დაბალი სიხშირის (1-160 ჰრ), მცირე ძალის (10 მა-მდე ამპლიტუდით) დენიო სამკურნალო ზემოქმედების მეთოდია.



ელექტრომილის აპარატი „ელექტროსონ-4ტ“

დენის იმპულსები შედის თავის ქალაში თვალ-ბუდეებიდან ტვინამდე, ვრცელდება სისხლძარღვების მიმართულებით და აღწევს ქერქქვეშა წარმონაქმნებამდე.

დენის მაქსიმალური სიმკვრივე წარმოიქმნება ქალას ფუძის სისხლძარღვების მიმართულებით. აქ ფორმირდება გამტარებლობის დენები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებს ქალატვინის ნერვების სენსორულ ბირთვებსა და ტვინის დეროს პიპნოგენურ ცენტრებზე (პიპოფიზი, პიპოთალამუსი, ვაროლის ხიდის შიდა არე, რეტიკულური ფორმაცია).

გამტარებლობის დენები იწვევს ცისფერი ლაქის და რეტიკულური ფორმაციის ამინერგული ნეირონების იმპულსური აქტივობის დათრგუნვას, რაც იწვევს თავის ტვინის ქერქში აღმავალი აფერენტაციის დაჭვებითებას და შინაგანი შეაგების გაძლიერებას. ამას ხელს უწყობს დენის იმპულსების თანმიმდევრობის სიხშირის სინქრონიზაცია თავის ტვინის ბიოლოგიური აქტივობის ნელ რიტმებთან. თავის ტვინის ქერქქვეშა სტრუქტურებში

დაგროვილი სეროტონინი იწვევს პირობით—
რეფლექტორული მოქმედების და ემოციური
აქტივობის დაქვეითებას, რის შედეგადაც ავად-
მყოფს უვითარდება თვლემა და ძილიანობა.

იმპულსური დენები ასევე აღიზიანებს
ქუთუთოების კანის მგრძნობიარე გამტარებს.
რიგმული აფერენტული ნაკადები, რომლებიც ამ
დროს წარმოიქმნება, აღწევს სამწვერა კვანძის
ბიპოლარულ ნეირონებამდე, ვრცელდება ჯერ
სამწვერა ნერვის დიდ სენსორულ ბირთვამდე და
შემდეგ - თალამუსის ბირთვებამდე. რეფლექსო-
გენური ზონების ასეთი ელექტროსტიმულაცია
აძლიერებს იმპულსური დენების ცენტრალურ
ჰიპნოზურ ეფექტებს. იმპულსური დენების მოქ-
მედებას მოჰყვება სისხლძარღვების ტონუსის მა-
ტება, აქტიურდება მიკროცირკულაციის ნაკადში
სატრანსპორტო პროცესები, მატულობს სისხლის
ჟანგბადური ტევადობა, სტიმულირდება სისხლის
წარმოქმნა, ნორმალიზდება სისხლის შემადებელი
და შედედების საწინააღმდეგო სისტემებს შორის
თანაფარდობა.

იმპულსური დენები იწვევს გარეგანი სუნთქვის
გაიშვიათებას და გადრმავებას, მისი წუთ-
მოცულობის ზრდას, ააქტიურებს კუჭ-ნაწლავის
ტრაქტის გამოყოფ და სასქესო სისტემების სეკრე-
ტორულ ფუნქციებს. იმპულსური დენები აღადგენს
დარღვეულ ლიპიდურ, ნახშირწყლოვან და წყლის
ცვლას, ააქტიურებს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლე-
ბის ფუნქციას. ამგვარად, ელექტროძილი გამოიყე-

ნება არა მარტო ნევროზების, არტერიული პიპერ-ტონიის, პიპოტონიის, კუჭის წყლულოვანი დაავა-დების, ბრონქული ასთმის და ჰორმონული დის-ფუნქციების დროს, არამედ ნეიროდერმიტების, ეგზემისა და სხვა ტიპის დერმატიტების დროს, რომელთაც ნეიროგენული, ენდოკრინული წარმო-შობა აქვთ. აგრეთვე იმპულსური დენის თავის ტვინზე ზემოქმედებისას ხდება ენდომორფინების გამოყოფის სტიმულაცია. ამით შეიძლება აიხსნას ელექტროძილის სედატიური და ტკივილგამაყუჩ-ბელი ეფექტი. ამიტომ ელექტროძილს ფართოდ იყენებენ კანის ისეთი დაავადებების დროს, რო-გორიცაა ეგზემა, ნეიროდერმიტი, სარტყლისებური ლიქენი გამოხატული ტკივილის სინდრომით და სხვ.

გამოყოფენ ელექტროძილის 2 ძირითად მიმართულებას: სტრესის საწინააღმდეგო, სედატიურ (I ფაზა) და მასტიმულირებელ, საერთო სასიცოცხ-ლო ტრნუსის ამამაღლებელს (II ფაზა).

სამკურნალო ეფექტები: სედატიური, ტრანკ-ვილიზატორული, სპაზმოლიტიკური, ტროფიკული, სეკრეტორული.

უპჩენებები ელექტროძილის გამოყენებისთვის: ეპილეფსია; დეკომპენსირებული მანკები; ვისცე-რალური წარმოშობის მწვავე ტკივილები; გამოხა-ტული სიბეცე; თვალების ანთებითი დაავადებები (კონიუქტივიტი, ბლეფარიტი და სხვ.); სახის ეგზემის და დერმატიტის ყველა ფორმა; ისტერიული ნევროზი; თავის ტვინის და თვალის ქსოვილებში მეტალური საგნების არსებობა; ელექტროდენის

ინდივიდუალური აუტანლობა; ფიზიოთერაპიული ფაქტორების გამოყენების ზოგადი უკუჩვენებები.

ელექტროძილის პროცედურების ჩასატარებელი ტექნიკა: ელექტროძილის პროცედურების ჩასატარებლად გამოიყენება აპარატები: „მაგნონ-სლიპი“ („Магнон-СЛИП“), „ელექტროსონ-4Т“ („Электросон-4Т“), „ეს-10-5“ („ЭС-10-5“). ეს აპარატები საშუალებას იძლევა ზემოქმედება ვაწარმოოთ როგორც უწყვეტი იმპულსური დენებით, ასევე იმპულსური და მუდმივი დენების სხვადასხვა შეფარდებით. ამ აპარატების მიერ გენერირებული იმპულსური დენები შეიძლება დისკრეტულად შეგვალოთ სისშირით და ამპლიტუდით.

ელექტროძილის პროცედურების ჩატარება: პროცედურები ტარდება დაბნელებულ, ხმაურისაგან იზოლირებულ სათავსში კონკრეტულ ტემპერატურულ და ჟანგბადის რეჟიმში. გამოიყენება ელექტროდების მოთავსების თვალბუდე-რეტრო-მასტოიდური მეთოდიკა. თვალის ელექტროდებს ათავსებენ დახუჭულ ქუთუოებზე და უერთებენ კათოდს, კეფის ელექტროდები ფიქსირდება დვრილისებრ მორჩებზე და უერთდება ანოდს. დენის ძალის სიდიდის ზღვრული ნორმაა 8 მა. უსიამოვნო შეგრძნებების, ელექტროდების ქვეშ წვის შეგრძნების შემთხვევაში ვამცირებთ დენის ძალას. პროცედურის ხანგრძლივობა 20-40 წუთია. პროცედურები ტარდება ყოველდღე ან დღეგამოშვებით. კურსზე ინიშნება 15-20 პროცედურა. საჭიროებისას ტარდება განმეორებითი კურსი 2-3 თვის შემდეგ.



პორტატიული მოკლეიმპულსური ელექტროანალგეზიის აპარატი „მირაბელი“

3.3. მოკლეიმპულსური ელექტროანალგეზია

მოკლეიმპულსური ელექტროანალგეზია – მტკიცნეულ უბანზე იმპულსური დენებით სამკურნალო ზემოქმედებაა. ელექტრული დენის იმპულსების ზემოქმედება, რომელთა ხანგრძლივობა და სიხშირე თანაზომადია მსხვილ მიელინიზირებულ აფერენტულ გამტარებში ნერვული იმპულსების ხანგრძლივობასა და მათი მიღევნების სიხშირესთან, იწვევს აფერენტული ნაკადების გაძლიერებას და ზურგის ტვინის ლაბისებრი ნივთიერების ნეირონების აღგზებას. ზურგის ტვინის გვერდით რქებში პრესინაპსური შეკავების შედეგად მცირდება ნეიროპეპტიდის P-ნივთიერების გამოყოფა და

ქვეითდება ტკივილის შემგრძნები აფერენტული გამტარებიდან იმპულსების გატარების ალბათობა რეტიკულური ფორმაციის ნეირონებსა და სუპრა-სპინალურ სტრუქტურებში. პერინევრალური შეშუპების შემცირება აუმჯობესებს კანის აფერენტების აღგზნებას და გამტარებლობას, რითაც ხელს უწყობს დათრგუნვილი ტაქტილური მგრძნობელობის აღდგენას ლოკალური მტკივნეულობის ზონებში და აგრეთვე ქსოვილების დაზიანებულ უბნებამდე სისხლის ნაკადის მიწოდების ზრდას.

მოკლეიმპულსური ანალგეზიის გამოყენების სამკურნალო ელექტრი: ანალგეტიკური და ადგილობრივი ტროფიკული.

მოკლეიმპულსური ანალგეზიის გამოყენების ჩვენებები: სარტყლისებური ლიქენი და კანის სხვა დაავადებები გამოხატული ტკივილის სინდრომით.

დაავადებები, რომელთა დროს მოკლემპულსური ელექტროანალგეზიის გამოყენება უკუნახვენებია: შინაგან ორგანოთა პათოლოგიებით განპირობებული მწვავე ტკივილები (მიოკარდიუმის ინფარქტი; სტენოკარდიის შეტევა; თირკმლების, ლვიძლისა და ნაწლავების ჭვალი და სხვ); ნერვული სისტემის პროგრესირებადი ორგანული დაავადებები; ეპილეფსია; თალამური ტკივილები; ქალატვინის დახურული ტრავმები; გულის რიტმის დარღვევები; ელექტროდების დადების ადგილას კანის დაზიანება; ელექტროდენის აუტანლობა.

მოკლეიმპულსური ელექტროანალგეზიის პროცედურების ჩატარების ტექნიკა და მეთოდიკა:

მოკლეიმპულსური ელექტროანალგეზიის პროცედურების ჩასატარებლად გამოიყენება აპარატები „დელტა-101“ („Дельта-101“), „დელტა-301“ („Дельта-301“), „ელიმან-206“ („Элиман-206“), „ელიმან-401“ („Элиман-401“), „ბიონ-01“ („Бион-01“), „ნეირონ-01“ („Нейрон-01“), „მირაბელი“ („Мирабель“) და სხვ.

პროცედურის ჩატარებისას იყენებენ მოკლეიმპულსური ელექტროანალგეზიის 2 სახეობას. პირველ შემთხვევაში გამოიყენება დენის იმპულსები, რომელთა ძალა 5-10 მა-მდეა, ხოლო სიხშირე 40-400 ჰც-ია. ბიოლოგიურად აქტიურ წერტილებზე მოქმედებისას იყენებენ დენის იმპულსებს, რომელთა ძალა 15-30 მა-მდეა, ხოლო სიხშირე 2-12 ჰც-ია.

პროცედურების ჩასატარებლად ელექტროდებს ათავსებენ ლოკალურად მტკიცნეულ ზონებში, რეფლექსოგენურ ზონებში, შესაბამისი ნერვების გამოსვლის წერტილებში. დენის სამუშაო ძალა ისაზღვრება ავადმყოფის ინდივიდუალური მგრძნობელობის გათვალისწინებით. პროცედურის ხანგრძლივობა 20-40 წუთია. დღეში ტარდება 2-4 პროცედურა. ანალგეტიკური ეფექტი გრძელდება 1-2 საათის განმავლობაში.

დერმატოზების დროს გამოიყენება ტრანსკრანიალური ელექტროანალგეზია – თავის კანზე იმპულსური დენების ზემოქმედება, რომელიც იწვევს ტკივილის გაფუჩებას.

3.4. დიადინამიკური დენები (ბერნარის დენები)

დიდ ინტერესს იწვევს საფრანგეთში პ. ბერნარის (P. Bernard, 1950) მიერ მოწოდებული დიადინამიკური დენები. დიადინამოთერაპიის დროს ძირითადად იყენებენ ორი სიხშირის სინუსოიდურ იმპულსურ დენს. ერთი დენის სიხშირე 50 ჰც-ია, ხოლო მეორესი – 100 ჰც. დანარჩენი სახის დენები წარმოადგენს ზემოაღნიშნული ორი დენის მოდიფიკაციას.

დიადინამიკური დენი ორგანიზმში იწვევს თითოეულისათვის დამახასიათებელ ეფექტს, რის შედეგად აღინიშნება ექსტერორეცეპტორების და პროპრიორეცეპტორების აღგზნება, სისხლის მოქცევის და ნივთიერებათა ცვლის გაძლიერება. ქსოვილების ტროფიკა, ნერვული სისტემის ფუნქციური მდგრამარეობა უმჯობესდება. ორგანიზმზე დიადინამიკური დენის მოქმედება რთული და მრავალმხრივია. მნიშვნელოვანია მისი ანალგეტიკური მოქმედება, რომელსაც საფუძვლად უდევს ნერვულ-რეფლექსური მექანიზმი. პარაბიოზის შედეგად დენი იწვევს აღგზნებადობის დაქვეთებას, ნერვული ბლოკადის ტიპის ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს. ანალგეტიკურ მოქმედებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცენტრალური ნერვული მექანიზმი. ცენტრალურ ნერვულ სისტემაში დიადინამიკური დენის რიტმული იმპულსები ქმნის დომინანტს, რის შედეგად ირლვევა ნერვულ სისტემაში ტკივილის იმპულსების გადაცემის მანკიერი წრე. დიადი-

ნამიკური დენის ანალგეტიკური მოქმედების პუმო-რულ მექანიზმში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავის ტვინის ლიმბურ სისტემაში ენდორფინების რაოდენობის მატებას, რასაც მძლავრი ანალგეტიკური მოქმედება ახასიათებს და 100-ჯერ აღემატება მორფინის ეფექტს. ამასთან ერთად გასათვა-ლისწინებელია დიადინამიკური დენების მიერ ქსო-ვილების ტროფიკის გაუმჯობესება და სისხლის მიმოქცევის გაძლიერება. ყოველივე ეს ხელს უწყობს ანტისპაზმური და ანალგეტიკური ეფექტის გაძლიერებას.

დიადინამიკური დენებით პროცედურების ჩატარების ტექნიკა და მეთოდიკა: დიადინამიკური თერაპიის აპარატები („სნიმ-1“ („СНИМ-1“), „ტონუს-1“ („ТОНУС-1“), „ტონუს-2“ („ТОНУС-2“) და სხვ.) იძლევა შვიდი სახის დენს:

1. „ერთტაქტიან უწყვეტს“;
2. „ორტაქტიან უწყვეტს“;
3. „წყვეტილ რიტმულს“;
4. „მოკლე პერიოდით მოდულირებულს“;
5. „გრძელი პერიოდით მოდულირებულს“;
6. „ერთტაქტიან ტალღისებურს“;
7. „ორტაქტიან ტალღისებურს“.

„ერთტაქტიანი უწყვეტი“ დენის იმპულსების სიხშირე 50 ჰერცია, მისი მოქმედება იწვევს კანზე ჩხვლებისა და წვის შეგრძნებას, კუნთის ბოჭკოს შეკუმშვას და ვიბრაციის შეგრძნებას. დენის ძალის ინტენსივობის გაზრდა იწვევს კუნთის ტეტა-ნურ შეკუმშვას. მას ახასიათებს აღმგზნები და გამა-

დიზიანებელი მოქმედება. ასეთი დენის დამოუკიდებლად გამოყენება შეიძლება ელექტროსტიმულაციისთვის.

„ორტაქტიანი უწყვეტი“ დენის იმპულსების სიხშირე 100 ჰერცია. კანზე მოქმედებისას აღნიშნული სახის დენი მსუბუქ ჩხვლეტასა და წვის შეგრძნებას იწვევს. დენის ძალის მომატებისას ავადმყოფი გრძნობს კუნთების ვიბრაციას, კუნთების ბოჭკოს შეკუმშვის გამო. დენის ძალის შედგომი მატება კუნთების კლონურ და ტეტანურ შეკუმშვას განაპირობებს. ამ დენის მოქმედების შედეგად იზრდება კანის ელექტროგამტარობა და მგრძნობელობის ზღურდლი, აღინიშნება ანალგეტიკური ეფექტი; უმჯობესდება ქსოვილების სისხლით მომარაგება და მათი ტროფიკა; მატულობს ქსოვილების შემაკავშირებელი მოქმედება, განსაკუთრებით სიმპათიკური ნერვული სისტემისადმი. ამ სახის დენს სამკურნალო პრაქტიკაში იყენებენ ქსოვილების ელექტროგამტარობის გაზრდისთვის, სააზმისა და ტკივილის მოსახსნელად.

„ერთტაქტიანი“ და „ორტაქტიანი“ უწყვეტი დენის მოქმედება იწვევს ქსოვილების შეგუებას ამ გამღიზიანებლისადმი. ადაპტაციის მოვლენების შემცირების მიზნით ბერნარმა შემოიღო დიადინამიკური დენის მოდულაცია, „წყვეტილი რიტმული“ დენის (სინკოპეს რიტმი) გამოყენების დროს იმავე სანგრძლივობის შემდგომი პაუზით. ამ დენის მოქმედების შედეგად ავადმყოფი გრძნობს კუნთების ძლიერ შეკუმშვას, ხოლო პაუზის დროს – მოდუ-

ნებას. ახალ იმპულსზე პვლავ აღინიშნება კუნთის შეკუმშვა. ასეთი სახის დენს იყენებენ კუნთების ელექტროსტიმულაციისთვის.

„მოკლე პერიოდის მოდულირებული“ დენის გამოყენებისას ერთტაქტიანი უწყვეტი დენი მოქმედებს 1 წამის განმავლობაში, შემდეგ 1 წამს მოქმედებს ორტაქტიანი უწყვეტი დენი. ასეთი სახის დენის მოქმედების დროს იზრდება ქსოვილების ელექტროგამტარობა, კუნთების შეკუმშვა, ადგილობრივი სისხლის მიმოქცევა, ტროფიკა და ნივთიერებათა ცვლა. დასაწყისში აღინიშნება ნერვკუნთის აღგზნებადობა 2-3 წუთით, შემდეგ – შეკავება და ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. „გრძელი პერიოდის მოდულირებული“ დენის გამოყენებისას ერთტაქტიანი უწყვეტი დენის მოქმედების ხანგრძლივობა 4 წმ-ია, შემდეგ 8 წმ-ის განმავლობაში მოქმედებს ორტაქტიანი უწყვეტი დენი. მთლიანი მოდულაციის ხანგრძლივობა 12 წმ-ია. აღნიშნული პროცედურის მიღებისას ავადმყოფი ჯერ შეიგრძნობს კუნთების შეკუმშვას, რომელიც იცვლება კუნთების მსუბუქი ვიბრაციით. ვინაიდან ორივე დენის მოქმედების დრო გახანგრძლივებულია, განსაკუთრებით ორტაქტიანი უწყვეტი დენის მოქმედება, ამიტომ კუნთების შეკუმშვის ეფექტი და აღგზნებადობა მცირდება, უფრო გამოხატულია შეკავებისა და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება.

„ერთტაქტიანი ტალღისებური“ დენი 50 ჰც-ის სიხშირის ერთტაქტიანი უწყვეტი დენია, რომელიც 8 წმ-ის განმავლობაში თანდათანობით მატულობს,

აღწევს მაქსიმუმს გარკვეული დროით, შემდეგ თანდათანობით ქვეითდება. ამის შემდეგ იწყება 4 წამიანი პაუზა. მთელი პერიოდის ხანგრძლივობაა 12 წამი. პაუზის შემდეგ კვლავ ახალი პერიოდი იწყება. ასეთი სახის დენით მკურნალობის დროს ავადმყოფი შეიგრძნობს კუნთების შეკუმშვას. ასეთ დენს იყენებენ ელექტროსტიმულაციისთვის.

„ორტაქტიანი ტალღისებური“ დენი 100 ჰც-ის სიხშირის ორტაქტიანი უწყვეტი დენია, რომელიც 8 წმ-ის განმავლობაში თანდათანობით მატულობს, აღწევს მაქსიმუმს გარკვეული დროით, შემდეგ ქვეითდება. ბოლოს კი იწყება 4 წმ-იანი პაუზა. მთელი პერიოდი პაუზის ჩათვლით 12 წამია. პაუზის შემდეგ კვლავ ახალი პერიოდი იწყება. ასეთი დენი აძლიერებს ქსოვილების სისხლით მომარაგებას, აქვეითებს სიმპათიკური ნერვული სისტემის აღგზნებადობას.

დიადინამოთერაპიის პროცედურების ჩასატარებლად იყენებენ იმავე ელექტროდებსა და საფენებს, როგორსაც გალვანიზაციის დროს. ელექტროდები ძირითადად ოთხკუთხა ფორმისაა, სხვადასხვა ფართის (3-5-400 სმ²). დიადინამიკური აპარატის ჩართვის შემდეგ დენის ძალას უმატებენ მანამ, სანამ ავადმყოფი ტკივილს შეიგრძნობს.

ტკივილის სინდრომის მკურნალობის ჩასატარებლად პროცედურას იწყებენ „ორტაქტიანი“ უწყვეტი დენით, 1-3 წუთის ხანგრძლივობით, შემდეგ მოქმედებენ „მოკლე პერიოდით“ 0.5-2 წუთით და ბოლო ბოლოს, „გრძელი პერიოდის“ დენით 1-3 წთ. კათოდს ჩვეულებრივ ათავსებენ ტკივილის უბანში.

ტკივილის სინდრომის დროს დიადინამიკური დენებით ზემოქმედების ხანგრძლივობა 6-10 წუთს არ უნდა აღემატებოდეს. მკურნალობის კურსი 5-12 პროცედურით განისაზღვრება. პროცედურის შემდეგ კანი უნდა იყოს თანაბრად ჰიპერემირებული. მკვეთრად გამოხატული ჰიპერემია მიუთითებს დიადინამიკური დენების გადაჭარბებული დოზის მიღებაზე.

დიადინამიკური დენების გამოყენების ჩვენება: სარტყლისებური ლიქენი, ფხანიანი დერმატოზები, კოლოიდური ნაწილურები.

დაავადებები, რომელთა დროს დიადინამიკური დენების გამოყენება უკუნაჩვენებია: მწვავე ანთებითი პროცესები; სისხლდენა და სისხლდენისკენ მიღრეკილება; ხშირი სისხლძარღვოვანი კრიზები; მაღალი არტერიული წნევა; ძვლების მოტეხილობა არაფიქსირებული ძვლის ფრაგმენტებით; სახსრების მწვავე დაზიანება; ავთვისებიანი წარმონაქმნები; გენერალიზებული ეგზემა; თრომბოფლებიტი; შარდკენჭოვანი და ნაღველკენჭოვანი დაავადება; დიადინამიკური დენების აუტანლობა.



დიადინამიკური დენების აპარატი „ტონუს – 2“

3.5. ინტერფერენცთერაპია

ინტერფერენცთერაპია – ინტერფერენციული დენების გამოყენება სამკურნალო მიზნით.

ინტერფერენცთერაპიის პროცედურების ჩატარების დროს გამოიყენება ორი სხვადასხვა საშუალო სიხშირის იმპულსური დენი, რომლებიც ორი წყვილი ელექტროდებით ჯვარედინად მიყვანილია ორგანიზმთან. მოქმედების მექანიზმი ეყრდნობა ორი ცვლადი სინუსოიდალური დენის გადაკვეთისას ინტერფერენციის განვითარებას. ერთი დენის სიხშირეა 3000–5000 ჰც, ხოლო მეორე დენს არეგულირებენ 1-200 ჰც-ის ფარგლებში. თუ ქსოვილებში რხევის მიმართულება გადაჯვარედინების ადგილას ემთხვევა, მათი რხევა ჯამდება, თუ საწინააღმდეგოა – რხევები ქრება და წარმოიშობა ახალი საშუალო სიხშირის ცვლადი დენი.



დაბალი სიხშირის ინტერფერენცთერაპიის აპარატი „ინტერდინამიკ – 10-4C“

ინტერფერენციულაპიის გამოყენების სამკურნალო ეფექტები: ვაზოაქტიური, ნეირომასტიმულირებელი, ანალგეტიკიური, ტროფიკული, სპაზმოლიტიკური, პერიფერიული სისხლძარღვების გამაფართოებელი.

დერმატოლოგიაში ინტერფერენციულაპიის გამოყენების ჩვენებები: სარტყლისებური ლიქენი, ფსორიაზი, იქტიოზი, ნეიროდერმიტი.

დაავადებები, რომელთა დროს ინტერფერენციულაპია უკუნაჩვენებია: ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები; მწვავე ანთებითი პროცესები; ახალი პემართროზები და მოტეხილობები სახსარში ძვლის არაფიქსირებული ნატეხებით; სისხლდენისკენ მიღრეკილება; ციებ-ცხელება; აქტიური ტუბერკულოზი; პარკინსონის დაავადება; გაფანტული სკლეროზი; ორსულობა; ზემოქმედების ზონაში კარდიოსტიმულატორების და კანის დაფაქტების არსებობა.

ინტერფერენციულაპიის პროცედურების ჩატარების ტექნიკა და მეთოდიკა: ინტერფერენციულორაპიისთვის გამოიყენება აპარატები: „აიტ – 50-2“ („АИТ – 50-2“); „ინტერდინი“ („ИНТЕРДИН“); „ინტერდინამიკი“ („ИНТЕРДИНАМИК“) (Польша); „სტერეოდინამიკი–728“ („СТЕРЕОДИНАМАТОР – 728“) (გერმანია) და სხვ.

პროცედურის დროს პაციენტი ზის ან წევს, გამოდინარე დაავადების ხასიათიდან და ზემოქმედების ლოკალიზაციიდან. ინტერფერენციულაპიის პროცედურის ჩასატარებლად იყენებენ ლითონის

ელექტროდებს (2 წყვილს) წვრილი ჰიდროფილური საფენებით ან ვაკუუმელექტროდებს. ინტერფერენციერაპიის პროცედურების ჩასატარებლად უფრო ხშირად გამოიყენება ე.წ. ზემოქმედების სტაბილური მეთოდი. ზემოქმედების სტაბილური მეთოდის გამოყენებისას, ინტერფერენციერაპიის პროცედურების ჩატარების დროს ელექტროდებს აფიქსირებენ კანზე ისე, რომ ყოველი წყვილი ელექტროდის დენის ძალთა წირები გადაჯვარედინდება პათოლოგიური კერის მიღამოში ან ქსოვილების დაინტერესებული სტრუქტურის არეში. შესაძლებელია ამ ძალთა წირების მოქმედება, აგრეთვე, ზახარინიგედის ზონებზე, შესაბამის სეგმენტურ ზონებზე, ცალკეულ სიმპათიკურ კვანძებზე ან ტრანსცერებრული მეთოდიების გამოყენებით.

აპარატის მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავენ, გამომდინარე ზემოქმედების მიზნებიდან. მწვავე ტკივილის მოსახსნელად იყენებენ 90-120 ჰც-ის სიხშირის დენს ან მათ სპექტრს აღნიშნულ საზღვრებში. ქრონიკული პროცესების მკურნალობისას გამოიყენება 30-50 ჰც-ის სიხშირის დენი. კუნთების შეკუმშვების მისაღებად იყენებენ 1-30 ჰც-ს. დენის ძალა დამოკიდებულია ელექტროდების ფართსა და ავადმყოფის ინდივიდუალურ მგრძნობელობაზე და აღწევს 30-50 მას. პროცედურის ჩატარების დროს დენის ძალას ზრდიან გამოხატული ვიბრაციის შეგრძნებამდე. პროცედურების ხანგრძლივობა მერყეობს 5-დან 30 წუთამდე. პროცედურებს ატარებენ

ყოველდღე ან დღეგამოშვებით. მკურნალობის პურ-სი – 8-25 პროცედურა.

3.6. დარსონვალიზაცია

დარსონვალიზაცია – იმპულსური ცვლადი სინუსოიდური მაღალი სიხშირის (110 – 440 კჸც), მაღალი ძაბვის (20 კგ) და სუსტი ძალის (0.02 მა) დენების გამოყენებაა მკურნალობისთვის. ამ დენების ავტორია ფრანგი ფიზიკოსი და ფიზიოლოგი შ. დარსონვალი (1892 წელი). დარსონვალის დენები წარმოადგენს მაღალი სიხშირის მკვეთრად მიღევადი რხევების ცალკეულ ჯგუფებს, დიდი პაუზებით განმუხტვის სერიებს შორის. ადგილობრივად გამოყენებისას აღნიშნული დენების ძაბვა 20000 ვტ-მდე მატულობს. ზოგადი მოქმედების დროს გამოიყენება დარსონვალის დენების მიერ წარმოქმნილი მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველი.

დარსონვალის დენების ფიზიოლოგიური მოქმედება ეფუძნება რეფლექტორულ რეაქციებს. კანის ან ლორწოვანის რეცეპტორებზე მოქმედების დროს ისინი იწვევს შესაბამის სეგმენტურ და ზოგად რეფლექტორულ რეაქციებს, თანაც ერთდროულად ქსოვილებზე ადგილობრივადაც მოქმედებს.

დარსონვალის დენების ადგილობრივად გამოყენებისას, როდესაც კონტაქტი კანსა და ელექტ-

როდს შორის არ არის მჭიდრო, ელექტროდიდან კანზე გადადის მცირე ზომის ნაპერწკლების ნაკადი, რაც იწვევს გაღიზიანებას. კერძოდ, ავადმყოფი შეიგრძნობს მსუბუქ ჩხვლეტებს, კანი წითლდება. რაც განპირობებულია სისხლძარღვების გაფართოებით. ეს ვითარდება სისხლძარღვების ხანმოკლე შევიწროების შემდეგ.

დარსონვალის დენების სითბური თვისებები ვერ ვლინდება სრულად, ვინაიდან დენის ძალა ადგილობრივი ზემოქმედების დროს მხოლოდ რამდენიმე მილიამპერია. თუ ელექტროდს მოვაცილებთ სხეულს 3-5 სმ-ით, მაშინ მაღალი ძაბვის ზემოქმედებით ელექტროდის სიახლოვეს წარმოიქმნება ჰაერის მოლეკულების იონიზაცია, იზრდება გამტარობა და ხდება წყნარი განმუხტვა, რომელსაც ავადმყოფი შეიგრძნობს, როგორც მსუბუქ ელექტრულ „ნიავს”.

დარსონვალის დენები მოქმედებს ტკივილგამაყუჩებლად, ვინაიდან ამცირებს ნერგული დაბოლოებების მგრძნობელობას. დარსონვალის დენებისთვის დამახასიათებელია ანტისაზმური მოქმედება. ამ დენების გამოყენება ხელს უწყობს სისხლძარღვების და სფინქტერების სპაზმის მოხსნას, ასუსტებს სპაზმით განპირობებულ ტკივილს. აღინიშნება ქსოვილოვანი ცვლის ზრდა. დარსონვალის დენების ადგილობრივი მოქმედება აჩქარებს გრანულაციური ქსოვილის განვითარებას.

მცირე ინტენსივობის მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველი ზოგადი დარსონვალიზაციისას სხეულში ქმნის იმდენად სუსტ მაღალი სიხშირის დენსი, რომ აგადმყოფი მას ვერ შეიგრძნობს. ზოგადი დარსონვალიზაციის დროს ძლიერდება ნივთიერებათა ცვლა, ვლინდება მისი დამშვიდებელი მოქმედება ნერვულ სისტემაზე.

დერმატოლოგიაში გამოიყენება ადგილობრივი დარსონვალიზაცია.

დერმატოლოგიაში ადგილობრივი დარსონვალიზაციის გამოყენების ჩვენებები: I და II ხარისხის მოყინვა, მშრალი ეგზემა, კანის პარესთეზიები (ქვილი), ნევრალგიები, ომის ცვენა, ტროფიკული წყლულები და ჭრილობები.

დაავადებები, რომელთა დროს ადგილობრივი დარსონვალიზაციის გამოყენება უკუნაჩვენებია: ავთვისებიანი წარმონაქმნები; სისხლდენები და სისხლდენებისადმი მიღრეკილება; აქტიური ტუბერკულოზი; კანის მგრძნობელობის მოშლილობა; გულის უკმარისობის II-IV ფუნქციური კლასი; ელექტროდენის აუტანლობა.

ადგილობრივი დარსონვალიზაციის პროცედურების ჩატარების ტექნიკა და მეთოდიკა: ადგილობრივი დარსონვალიზაციის პროცედურების ჩასატარებლად გამოიყენება აპარატები „კორონა-მ“ („Корона-М“), „ისკრა-1“ („Искра-1“), „ისკრა-2“ („Искра-2“), „ისკრა-3“ („Искра-3“), „იმპულს-1“ („Импульс-1“), და სხვ.

ადგილობრივი დარსონვალიზაციის პროცედურა შეიძლება ჩატარდეს ელექტროდების კონტაქტური და დისტანციური განლაგებით. ელექტროდების კონტაქტური განლაგების დროს კანი უნდა შეამშრალონ. შეიძლება ტალკი მოაფრქვიონ და ელექტროდის ირგვლივი მოძრაობით ჩაატარონ პროცედურა ისე, რომ ელექტროდი არ მოაშორონ კანს. დისტანციური განლაგებისას ელექტროდი პათოლოგიური კერიდან დაცილებულია 0,5-2 სმ-ით, რაც იწვევს ნაპერწკლების წარმოქმნას ელექტროდსა და ქსოვილის შორის და მოვარდისფრო-იისფერ ნათებას.

ადგილობრივი დარსონვალიზაციის პროცედურის ხანგრძლივობაა 5-20 წუთი. პროცედურები ტარდება სუსტი (აპარატ „ისკრა-1“-ში შეესაბამება სკალის I-ლ, მე-4 ჭდეს), საშუალო (სკალის მე-5, მე-7 ჭდე) და ძლიერი (მე-7 ჭდის ზევით) ინტენსივობით. პროცედურები ტარდება ყოველდღე ან დღეგამოშვებით. მკურნალობის კურსი 3-5 პროცედურიდან 16-20 პროცედურამდეა.

ადგილობრივი დარსონვალიზაცია, მაღალი ინტენსივობის დენების გამოყენებით, ახდენს მოწვით და ნეიროტროპულ მოქმედებას, იწვევს პე-რიფერიული სისხლძარღვების შევიწროებას.

ადგილობრივი დარსონვალიზაციის სამკურნალო ეფექტი მაქსიმალურად ვლინდება საშუალო ინტენსივობის დენების გამოყენებისას.



დარსონვალიზაციის აპარატი „ისკრა – 1”

3.7. ფრანკლინიზაცია

მაღალი ძაბვის მუდმივი ელექტრული ველის სამკურნალო მიზნით გამოყენებას ფრანკლინიზაცია ეწოდება. ამ დროს იყენებენ წყნარ ელექტ-რულ განმუხტვებს, მათი გამომწვევ 50000-60000 ვ-ს მაღალი სიმძლავრის მუდმივ ველთან ერთად და 0,5 მა დენის ძალით. წყნარი ელექტრული განმუხტვა იწვევს იონების ნაკადის წარმოქმნას. იონების მუხტი – უარყოფითი ან დადებითი – დამოკიდებულია ელექტროდზე მიწოდებულ მუხტის ნიშანზე. ჩვეულებრივ, სამკურნალო პრაქტიკაში უპირატესობა ენიჭება უარყოფით მუხტს. ჰაერის იონების მოძრაობა, რომელთაც გააჩნიათ პოლუსის მოსახელე ელექტრული მუხტი, ქმნის ე.წ. ელექტრულ „ნიაჟს”.

ფრანკლინიზაციის ფიზიოლოგიური მოქმედება:
მიუხედავად იმისა, რომ ფრანკლინიზაცია

მკურნალობის უძველესი მეთოდია, მისი მოქმედების მექანიზმი არა არის დეტალურად შესწავლილი. ფრანგლინიზაციის ზოგადი მოქმედება (ე.წ. სტატიკური შხაპი) განპირობებულია პაერის იონებისა და მისი ქიმიური შემადგენლობის (ოზონი, აზოტის ორჟანგი და სხვ) თავისებური ზეგავლენით ადამიანის ორგანიზმზე, რომელიც იმყოფება მაღალი ძაბვის მუდმივი ელექტრული დენის მოქმედების ქვეშ.

ბოლო წლებში ყურადღება გაიზარდა სამკურნალო მიზნით აეროიონების – იონიზირებული პაერის შესუნთქვისადმი. აეროიონური ნაკადი იწვევს კანისა და სასუნთქი გზების ლორწოვანის ნერვული დაბოლოებების გაღიზიანებას, რეფლექსური გზით მოქმედებს ორგანიზმის მთელ რიგ ფუნქციაზე.

სტატიკური ელექტრობის შედეგად კანზი წარმოიქმნება სისხლძარღვოვანი და ტემპერატურული რეაქციები. კაპილარების ხანმოკლე სპაზმს და კანის ტემპერატურის დაჭვეითებას მოჰყვება კაპილარების გაფართოება და კანის ტემპერატურის შედარებით ხანგრძლივი ზრდა. ძლიერდება თავის ტვინის ქერქში შემაკავებელი პროცესები; აქტიურდება გეგეტატიური ნერვული სისტემის (უფრო მეტად ცდომილი ნერვის) ფუნქცია, სისხლის წარმოქმნა და ცვლითი პროცესები. სტატიკურ ელექტრობას ახასიათებს ბაქტერიციდული მოქმედება.

ფრანკლინიზაციის პროცედურების ჩატარების ტექნიკა: ფრანკლინიზაციის ზოგადი და ადგილობრივი პროცედურების ჩასატარებლად გამოიყენება აპარატები „აფ-3-1“ („АФ-3-1“), „ფა-5-5“ („ФА-5-5“) და სხვ. ფრანკლინიზაციის ადგილობრივი პროცედურები ტარდება აგრეთვე აპარატ „დიანელ-РПТ“-ის („ДИАНЕЛ-РПТ“) მეშვეობით. უნდა ადინიშნოს, რომ ყველა ეს აპარატი ასევე გამოიყენება აეროინოთერაპიის ჯგუფური და ინდივიდუალური პროცედურების ჩასატარებლად.

ფრანკლინიზაციის აპარატებს აქვთ მაღალ-ვოლტიანი ტრანსფორმატორი, რომელიც აძლიერებს ქალაქის ელექტროდენის ძაბვას 40-50 კვ-მდე, კენოგრონი დენის გასწორებისთვის და კონდენსატორი ძაბვის გაორმაგებისთვის. 40-50 კვ-ის ძაბვის დენი ფილტრის მეშვეობით მოქმედებს ავადმყოფებზე.

ადგილობრივი პროცედურებისთვის შესაძლებელია ძაბვის რეგულირება ისეთი ავტოტრანსფორმატორის საშუალებით, რომელსაც გააჩნია 10 საფეხური და ყოველი მათგანი ამაღლებს ძაბვას 5 კვ-ით.

აპარატი დამონტაჟებულია ხის კარადაში. მის სახურავზე არსებობს სამაგრები თავის ორი ელექტროდისთვის, რომელსაც რკალის ფორმა აქვს და წაწვეტიანებულია. აპარატის წინა კედელზე მოთავსებულია მართვის სახელურები: ელექტროდების გადაადგილების, პოლარობის შეცვლისა და ძაბვის რეგულირებისთვის (5-დან 50 კილოვოლტამდე).

ზოგიერთ დაწესებულებაში ჯერ კიდევ იყენებენ შემორჩენილ ელექტროსტატიკურ მანქანებს მბრუნავი ებონიტური სახელურებით. ამ მანქანებში სტატიკური ელექტრობა მიიღება ელექტროსტატიკური ინდუქციის პრინციპზე.

ფრანკლინიზაციის პროცედურების ჩატარების მეთოდიკა: ადგილობრივი ფრანკლინიზაციისთვის იყენებენ სხვადასხვა ფორმის - ჯაგრისისებრ, მრგვალი ფორმისა ან ლითონის ნემსებიან ელექტროდებს. ავადმყოფი წვება (ჯდება) ხის საწოლზე (სკამზე). შიშველი კანიდან 5-7 სმ-ის დაშორებით ათავსებენ ელექტროდს. ელექტროველის ძაბვა 10-20 კვ-ია. პროცედურის ხანგრძლივობა 10-15 წუთია. მკურნალობის კურსი მოიცავს 10-12 პროცედურას. პროცედურები ტარდება ყოველდღიურად.

ფრანკლინიზაციის გამოყენების ჩვენებები დერმატოლოგიაში: ფრანკლინიზაციის ადგილობრივი გამოყენება ნაჩვენებია კანის ქავილის, კანის მგრძნობელობის დაქვეითების, კანის ხანგრძლივად შეუხორცებელი ჭრილობების და კანის წყლულების დროს.

დაავადებები, რომელთა დროს ფრანკლინიზაციის გამოყენება უკუნაჩვენებია: ავთვისებიანი სიმსივნეები; სისხლის სისტემური დაავადებები; ტუბერკულოზი აქტიურ ფაზაში; გულის უკმარისობის III-IV ფუნქციური კლასი (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); ორსულობა; ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაავადებები; გამოხატული ცერებრალური და

კორონარული ათეროსკლეროზი; დეპრესიული მდგომარეობა.




ფრანკლინიზაციის აპარატი „აფ -3-1“

3.8. აეროიონოთერაპია

აეროიონოთერაპია – იონიზირებული ჰაერით (აეროიონებით) ორგანიზმზე სამკურნალო-პროფილაქტიკური მოქმედების მეთოდია. აეროიონები – ატმოსფერული ჰაერის ნაწილაკებია, რომელთაც გააჩნიათ დადგებითი ან უარყოფითი მუხტი და მიօნება იონიზატორების საშუალებით.

სამკურნალო ეფექტები: ანთების საწინააღმდეგო, ადგილობრივი ანალგეტიკური, ვაზოაქტიური, მეტაბოლური, იმუნომასტიმულირებელი, ბაქტერიციდული.

აეროიონოთერაპიის გამოყენების ჩვენებები დერმატოლოგიაში: დერმატიტები, ნეიროდერმიტი, ეგზემა.



აეროიონოთერაპიის აპარატი „ელიონ – 132“

დაავადებები, რომელთა დროს აეროიონო-
თერაპიის გამოყენება უკუნაჩვენებია: ბრონქული
ასთმის მძიმე ფორმები; ფილტგების გამოხატული
ემფიზემა; მწვავე პნევმონია; დეპრესიული მდგო-
მარეობა; ცენტრალური ნერვული სისტემის ორგა-
ნული დაავადებები; გამოხატული ცერებრალური და
კორონარული ათეროსკლეროზი; პოსტინფარქტული
კარდიოსკლეროზი; ორსულობა; ავთვისებიანი წარ-
მონაქმნები; რევმატოიდული პოლიართორიტი; ორგა-
ნიზმის მკვეთრი დაუძლურება; ოზენა დრმა
დესტრუქციული ცვლილებებით; მომატებული მგრ-
ძნობელობა იონიზირებული ჰაერის მიმართ.

აეროიონოთერაპიის პროცედურის ჩატარების
ტექნიკა და მეთოდიკა: აეროიონოთერაპიის
პროცედურების ჩასატარებლად გამოიყენება
როგორც ფრანკლინზაციის აპარატები („აფ-3-1“,
„ფა-5-5“, „დიანელ-რპტ“), ასევე აპარატები, რომლე-
ბიც გამოსადეგია მარტო აეროინოთერაპიისთვის:
„სერუბოვ-1“ („Серпухов-1“), „ელიონ-132“ („Элион-
132“), „ალმაზ-3101“ („Алмаз-3101“) და სხვ.

დოზირება ხდება იმ იონების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც შესუნთქვისას ორგანიზმში მოხვდება პროცედურის ჩატარების პერიოდში. სამკურნალო დოზად ითვლება 75-100 მილიარდი აეროიონის შესუნთქვა ერთი პროცედურის განმავლობაში. მკურნალობის კურსი 15-20 პროცედურად. პროცედურები ტარდება ყოველდღე.

აეროიონოთერაპია შეიძლება იყოს საერთო ან ადგილობრივი. ადგილობრივი აეროიონოთერაპიის პროცედურის ჩატარებისას ზემოქმედება აეროიონებით ხდება მხოლოდ პათოლოგიურ უბანზე ან რეფლექტორულ ზონაზე.

3.9. უმსვ-თერაპია (თერაპია ულტრამაღალი სიხშირის ველებით)

უმსვ-თერაპია – სამკურნალო მეთოდია, რომლის დროსაც ავადმყოფის ქსოვილებზე დისტანციურად ზემოქმედებენ ულტრამაღალი სიხშირის უწყვეტი ან იმპულსური, უპირატესად ელექტრული ველით (ე.ვ.) და ნაკლები ხარისხით მაგნიტური ველით (მ.ვ.). უწყვეტი უმს-ის ელექტრული ველით მკურნალობისას გამოიყენება სიმძლავრე 1 ვტ-დან 100 ვტ-მდე. იმპულსური უმს-ის ელექტროველით მკურნალობის დროს აღნიშნული ველის საშუალო სიმძლავრეა 4-8 ვტ.



უმსგ-ს აპარატი „უზჩ-4“

მაღალი სიხშირის ველები ქსოვილებში ენდო-გენური სითბოს გამოყოფას იწვევს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, უმს-ის ელექტრული ველის გამოყენებისას, ცდილობენ არ გამოიწვიონ ავადმყოფებში გამოხატული სითბური შეგრძნება. ავადმყოფის მიერ სითბოს აღქმის მიმართებაში განასხვავებენ: თერმულ (სითბოს გამოხატული შეგრძნება), სუსტად თერმულ (სითბოს სუსტი შეგრძნება) და ათერმულ (სითბოს შეგრძნების გარეშე) დოზებს.

ჩვეულებრივ, მკურნალობის დროს გამოიყენება სუსტი ან ათერმული დოზები. უნდა აღინიშნოს, რომ უმს-ის ელექტრულ ველს ახასიათებს გამოხატული შედწევადობის უნარი და გამტარობის დენის წარმოქმნასთან ერთად აღნიშნული ველი იწვევს გადაადგილების დენის წარმოქმნას. ეს აძლიერებს ზემოქმედებას.

უმსგ-თერაპიის პროცედურების ჩატარების ტექნიკა და მეთოდიკა: უმსგ-თერაპიისთვის იყენებენ აპარატებს „უზჩ-4“ („УВЧ-4“), „უზჩ-30-2“ („УВЧ-30-2“), „უზჩ-66-2“ („УВЧ-66-2“), „უზჩ-80-3“ („УВЧ-80-3“),

„ეკრან-1“ („Экран-1“), „იმპულს-3“ („Импульс-3“) და სხვ.

პროცედურების ჩასატარებლად ავადმყოფი უნდა მოთავსდეს მოხერხებულად და შეინარჩუნოს ეს მდგომარეობა პროცედურის დამთავრებამდე. შეარჩევენ ელექტროდების შესაფერის ზომას, ამაგრებენ მათ დამჭერებით, სპირტით წმენდენ და საჭირო ადგილებზე აფიქსირებენ. შემდეგ ჩართავენ გენერატორს. აპარატ „უვზ-4“-ის გამოყენების შემთხვევაში გენერატორის ჩასართავად ძაბვის კონდენსატორის სახელური გადაჰყავთ პირველ დანაყოფზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – შემდეგ დანაყოფებზე, სანამ ხელსაწყოს ისარი გენერატორის პანელზე არ მიაღწევს წითელ ნიშნულამდე. შემდეგ აყენებენ თერაპიულ კონტურს ანოდურ კონტურთან რეზონანსში. ამისთვის ცვლადი ტევადობის კონდენსატორის სახელურს, რომელიც ავადმყოფის კონტურში იმყოფება, ატრიალებენ სხვადასხვა მხარეს. „უვზ-4“-ის გენერატორში რეზონანსის არსებობას ადასტურებს ხელსაწყოს ისრის მცირე გადახრა. გენერატორის პანელზე გადამრთველის სახელური უნდა იყოს მდებარეობაში „აწყობის კონტროლი“, ე.ი. უნდა გადაიწიოს მარჯვნივ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეზონანსში აწყობა შეიძლება განვსაზღვროთ ნეონის ნათურის მიახლოებით კონდენსატორის ფირფიტებთან: ოპტიმალური აწყობის დროს ნათურა ძალიან კაშკაშაა.

პროცედურებს ატარებენ 2 ელექტროდით (თერაპიული კონდენსატორის ფირფიტები), ამასთანავე

გამოიყენება ერთნაირი ზომის ან სხვადასხვა ფარ-
თობის ელექტროდები. უკანასკნელ შემთხვევაში
მცირე ზომის ელექტროდი მოქმედებს უფრო აქტი-
ურად. უმს-ის ელექტრული ველი ადვილად გადის
თაბაშირში და ჩირქიან ნახვევებში, სადაც ენერგიის
ნაწილი შთაინთქმება და ამით მცირდება სამ-
კურნალო ეფექტი. გარდა ამისა, იქმნება კანის
დამწერობის განვითარების საშიშროება.

განასხვავებენ ელექტროდების განლაგების 2
მეთოდს: გასწვრივს და განივს. ელექტროდების
განივი განლაგების დროს უმს-ის ელექტრული ვე-
ლი შეაღწევს კონდენსატორულ სივრცეში მოთავ-
სებულ სხეულის ნაწილში, გასწვრივი განლაგების
დროს კი – იგი მოქმედებს უფრო ზედაპირულად.

ფურუნგულებისა და კარბუნკულების მკუ-
ნალობისთვის ელექტროდებს ისე ათავსებენ, რომ
დაზიანების უბანი მოხვდეს ელექტროდებს შორის.
თუ ამის გაკეთება შეუძლებელია, უფრო მცირე
ელექტროდს 1-2 სმ-ის დაშორების ღრიჭოთი ათავ-
სებენ დაზიანების უბნის ზემოთ, მოზრდილს კი – 3
სმ-იანი დაშორების ღრიჭოთი – ზურგის ზედა
ნაწილში, როდესაც დაზიანება სახისა და სხეულის
მიდამოშია, ხოლო ქვედა კიდურების მიდამოში
დაზიანებისას – ათავსებენ გავაწელის არეში.
პროცედურებს ატარებენ ყოველდღიურად.
პროცედურის ხანგრძლივობა 10-12 წთ-ია. მკურნა-
ლობის კურსზე ინიშნება 1-დან 12 პროცედურამდე.

„უგზ-4“-ის გამოყენებისას სიმძლავრის გადა-
მრთველს აყენებენ 40 ვტ-ის მაჩვენებელზე.

უმსვ-თერაპიის გამოყენების ჩვენებები: კანისა
და კანქვეშა ქსოვილების მწვავე ანთებითი
დაავადებები, განსაკუთრებით – ჩირქოვანი.

დაავადებები, რომელთა დროს უმსვ-თერაპიის
გამოყენება უკუნაჩვენებია: სისხლდენები და
მიღრეკილება სისხლდენისაკენ; ავთვისებიანი
წარმონაქმნები; სისხლის სისტემური დაავადებები;
ციებ-ცხელებიანი მდგომარეობა; კაფსულირებული
ჩირქოვანი პროცესები; გულის უკმარისობის III-IV
ფუნქციური კლასი (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა
ასოციაციის კლასიფიკაცია); წებოვანი დაავადება;
აქტიური ტუბერკულოზი; ორსულობა, დაწყებული
მე-3 თვიდან; გამოხატული არტერიული ჰიპოტონია;
ზემოქმედების ზონაში კარდიოსტიმულატორის არ-
სებობა.

უმს-ის ელექტრული ველის სითბური მოქ-
მედების სრული გამორიცხვის მიზნით და აღნიშ-
ნული გელის ოსცილატორული მოქმედების შენარ-
ჩუნებისთვის შეიქმნა ულტრამაღალი სიხშირის
ელექტრული ველის გენერატორები, რომლებიც
მუშაობს იმპულსურ რეჟიმში.

უმსვ-ის იმპულსურ გენერატორებში დიდი
სიმძლავრისა და მაღალი სიხშირის რხევები გამო-
მუშავდება დროის ისეთ მოკლე პერიოდში, რომე-
ლიც იზომება წამის 2-8 მემილიონები ნაწილით.
ამასთანავე იმპულსებს შორის შუალედები ბევრჯერ
მეტია თვით იმპულსის ხანგრძლივობაზე. იმპულსის
სიმძლავრე, ანუ ენერგია, რომელიც გათვლილია
მთლიანად წამზე, აღწევს დიდ სიდიდეებს (152 კვტ).

რხევების ძაბვა 5-ჯერ მაინც აღემატება გენერატორის უწყვეტ რეჟიმში მუშაობის ძაბვას.

იმპულსის მოკლე პერიოდში ორგანიზმი იდებს ენერგიის ისეთ მცირე რაოდენობას, რომ მას თითქმის არ ახლავს სითბოს წარმოქმნა. მაღალი სიხშირის რხევების ოსცილატორული მოქმედება კი სრულად ვლინდება. ზოგიერთი ავტორის მონაცემებით, უმს-ის იმპულსური ელექტრული ველი ისე არ მოქმედებს, როგორც უწყვეტი. უმს-ის იმპულსური ე.ვ-ის ზემოქმედებით უმჯობესდება სისხლძარღვთა ნერვული რეგულაციის პროცესები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობისას. დადგენილია, აგრეთვე, უმს-ის ე.ვ-ის ანალგეტიკური მოქმედება.

უმს-ის იმპულსური ელექტრული ველის გამოყენების მეთოდიკა ისეთივეა, როგორც უმს-ის უწყვეტი ე.ვ-ის გამოყენებისას.



მაგნიტური გელების აპარატი „პოლუს-2”

3.10. მაგნიტოთერაპია

მაგნიტოთერაპია – მაგნიტური ველით მძურნალობა – ორგანიზმზე მუდმივი, პულსირებული ან ცვლადი დაბალი სიხშირის მაგნიტური ველით ზემოქმედება სამკურნალო მიზნით.

ცვლადი მაგნიტური ველი შეიძლება იყოს უწყვეტი და წყვეტილი რეჟიმის. წყვეტილ მაგნიტურ ველს უწოდებენ იმპულსურს.

სივრცის მოცემულ წერტილში მუდმივი მაგნიტური ველი, მიმართულებით და სიდიდით, დროში არ იცვლება. ცვლადი მაგნიტური ველი დროში იცვლება მიმართულებით და სიდიდით.

პულსირებული მაგნიტური ველი დროში იცვლება სიდიდით, მუდმივია მიმართულებით.

მაგნიტური ველი – ეს არის მატერიის ფორმა, რომლის მეშვეობით მყარდება კავშირი მოძრაობაში მყოფ ელექტრონულ მუხტებს შორის.

მაგნიტური ველი ზემოქმედებს უჯრედებში მიმდინარე მეტაბოლურ და ფერმენტულ რეაქციებზე. მაგნიტური ველის ხანგრძლივი ზემოქმედების დროს მემბრანების განვლადობის ცვლილებები იწვევს ლაბროციტებისა და პლაზმოციტების სტაბილიზაციას, აძლიერებს უჯრედოვან და პუმორულ იმუნიტეტს, რასაც მოჰყვება ალერგიული რეაქციების შესუსტება და ჰიპოსენსიბილიზაცია.

მაგნიტოთერაპიის სამკურნალო ეფექტები:

ა. მუდმივი მაგნიტური ველების გამოყენებისას – კოაგულომაკორეეგირებელი, სედატიური, ადგილობ-

რივი ტროფიკული, პერიფერიული სისხლძარღვების გამაფართოებელი, იმუნომასტიმულირებელი;

ბ. ცვლადი მაგნიტური ველების გამოყენებისას – ვაზოაქტიური, ანთების საწინააღმდეგო, შეშუპების საწინააღმდეგო, ტროფიკული, პიპომაკოაგული-რებელი, აქტოპროტექტორული, ადგილობრივი ანალგეტიკური;

გ. პულსირებული მაგნიტური ველების გამოყენებისას – ნეირომასტიმულირებელი, ვაზოაქტიური, ტროფიკული, ანალგეტიკური, ანთების საწინააღმდეგო.

მაგნიტოთერაპიის გამოყენების ჩვენებები:
ნეიროდერმიტი, ქავილიანი დერმატოზები, ეგზემა, ტროფიკული წყლულები.

დაავადებები, რომელთა დროს მაგნიტოთერაპიის გამოყენება უძუნაჩვენებია: სისხლდენისკენ მიღრეკილება; სისხლის სისტემური დაავადებები; პიპოთალამური სინდრომი; გამოხატული არტერიული პიპოტენზია; სხეულის მომატებული ტემპერატურა; გულის იშემიური დაავადების დაძაბვის სტაბილური სტენოკარდიის III-IV ფუნქციური კლასი (კანადის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); გადატანილი გულის ინფარქტის ადრეული პერიოდი; აორტის ანევრიზმა; იმპლანტირებული კარდიოსტიმულატორები; თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევა, გამოხატული ორეოტოქსიკოზი; ორსულობა; მწვავე ფსიქოზი; მაგნიტური ველის მიმართ გაზრდილი მგრძნობელობა.

მუდმივი მაგნიტური გელების გამოყენების პარამეტრები: მუდმივი მაგნიტური გელების ინდუქცია არ უნდა აღემატებოდეს 60 მტლ-ს. სამკურნალო მიზნით გამოიყენება 2 ტიპის მოწყობილობა:

ა. მაგნიტოფორმები (მაგნიტოელასტები); ბ. სამედიცინო რგოლისებური, ფირფიტებიანი და დისკიანი მაგნიტები.

მუდმივი მაგნიტური გელის გამოყენების მეთოდიკა: სამკურნალო პროცედურების დროს მაგნიტოელასტები და სამედიცინო მაგნიტები თავსდება პაციენტის კანზე 2-3 ფენა დოლბანდის ზემოთ და ფიქსირდება სახელით ან ელასტიკური ბინტით.

მაგნიტოელასტებს ისე ამაგრებენ პაციენტის კანზე, რომ მისი კიდეები დაზიანების უბნიდან გადმოწეული იყოს 10-20 მმ-ზე. ამასთანავე საჭიროა ვიცოდეთ, რომ სამხრეთ პოლუსს აქვს გამა-აქტიურებელი, ხოლო ჩრდილო პოლუსს დამა-მუხრუქებელი მოქმედება ორგანიზმზე. მუდმივი მაგნიტური გელით მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია. მოქმედების პერიოდი 30-40 წუთიდან 6-10 საათამდეა. მკურნალობის კურსი 20-30 პროცედურა. ბიოლოგიურ აქტიურ წერტილებზე ზემოქმედება არ უნდა აღემატებოდეს 15-30 წუთს. მკურნალობის კურსი 5 პროცედურად.

პულსირებული მუდმივი და ცვლადი მაგნიტური გელების გამოყენებით პროცედურების ჩატარების ტექნიკა და მეთოდიკა: მკურნალობისათვის პულსირებული მუდმივი და ცვლადი მაგნიტური გელების

მისაღებად გამოიყენება აპარატები „პოლუს-1“ (Полюс-1“), „პოლუს-2“ („Полюс-2“), „მაგნიტერი“ („Магнитёр“) და სხვ.

აპარატ „პოლუს-1“-ს კომპლექტში მოჰყვება 5 ინდუქტორ-ელექტრომაგნიტი – ორი ცილინდრული, ორი სწორკუთხია და ერთი ღრუ ორგანოებისთვის. ინდუქტორების მოთავსება შეიძლება როგორც გასწვრივად, ისე გარდიგარდმო, იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს მაგნიტოთერაპია.

მაგნიტური ველის ინდუქციის სიდრმე ერთი ინდუქტორის გამოყენებისას 3-4 სმ-ია, გარდიგარდმო ორი ინდუქტორის გამოყენებისას –7-8 სმ.

მაგნიტოთერაპიის პროცედურის ჩასატარებლად ავადმყოფს ათავსებენ საწოლზე და ლითონის საგნებს მოაცილებენ. ინდუქტორ-ელექტრომაგნიტს სხეულის შესაბამის არეში აფიქსირებენ. მაგნიტური ველის დაძაბულობა 9-დან 35 მტლ-მდეა. დაავადების ხასიათის და ფორმის შესაბამისად, ერთ არეზე პროცედურის ხანგრძლივობა 15-30 წუთია, 2-3 არეზე – 30-60 წუთი. პროცედურები ტარდება ყოველდღე. მკურნალობის კურსი მოიცავს 20-30 პროცედურას.



სანტიმეტრულტალლოგანი თერაპიის
აპარატი „ლუჩ – 11“

3.11. სანტიმეტრულტალდოვანი თერაპია

სანტიმეტრულტალდოვანი თერაპია – სანტიმეტრული დიაპაზონის ტალღების ელექტრომაგნიტური ველის სამკურნალო მიზნით გამოყენება.

სანტიმეტრული დიაპაზონის ტალღების ელექტრომაგნიტურ ველებს უნარი აქვთ აირეკლონ ღრმად მდებარე ქსოვილების გამყოფი საზღვრებიდან. ამასთან დაკავშირებით ორგანიზმის შიგნით ვარდნილმა და არეკლილმა ენერგიებმა შესაძლებელია წარმოქმნას „მდგარი ტალღები”, რაც ქმნის ქსოვილების ადგილობრივი სისხლძარღვების გადახურებისა და შინაგანი დამწვრობის განვითარების საშიშროებას.

სანტიმეტრული დიაპაზონის ტალღების ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებით უმჯობესდება ლიმფო და ჰემოდინამიკა, წვრილი სისხლძარღვების გაფართოების, სისხლის ნაკადის სიჩქარის და მოფუნქციების კაპილარების რაოდენობის ზრდის ხარჯზე. აღნიშნული პროცესები ხელს უწყობს ანთებითი უბნების გაწოვის პროცესის დაჩქარებას, ზრდის დასხივებული ქსოვილების მეტაბოლიზმს და ტროფიკას.


მიკროცირკულაციის სისტემის გააქტიურების შედეგად მცირდება პერინევრალური შეშუპება მტკივნეულ უბანზე და ნერვული გამტარობის ფუნქციური თვისებების ცვლილებები დასხივებულ ზონაში. ამასთანავე უმჯობესდება ჰომეოსტაზის ნეიროპუმორული რეგულაცია.

სანტიმეტრულტალდოვანი თერაპიის სამ-
კურნალო ეფექტები: ანთების საწინააღმდეგო,
პერიფერიულ სისხლძარღვთა გამაფართოებელი,
სეკრეტორული, ანალგეტიკური, მეტაბოლური.

დერმატოლოგიაში სანტიმეტრული დიაპაზონის
ტალღების ელექტრომაგნიტური გელების
გამოყენების ჩვენებები: კანის ჩირქოვანი დაავა-
დებები (ფურუნკული, კარბუნკული, პიდრადენიტი),
ნეიროდერმიტი, ეგზემა.

დაავადებები, რომელთა დროს სანტიმეტრული
დიაპაზონის ტალღების ელექტრომაგნიტური
გელების გამოყენების უპუნაჩვენებია: ავთვისებიანი
ახალწარმონაქმნები; ანთებითი დაავადებები, ქსოვი-
ლების გამოხატული შეშუპებით; სისხლის სისტე-
მური დაავადებები; თირეოტოქსიკოზი; მიოკარდი-
უმის ინფარქტი; გულის იშემიური დაავადების
დაბაბგის სტაბილური სტენოკარდის III-IV ფუნქ-
ციური კლასი (კანადის კარდიოლოგთა ასოციაციის
კლასიფიკაცია); გულის უკმარისობის III-IV ფუნქ-
ციური კლასი (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოცია-
ციის კლასიფიკაცია); გულ-სისხლძარღვთა სისტემის
მძიმედ მიმდინარე დაავადებები; სისხლდენები ან
სისხლდენებისკენ მიდრეკილება; ავადმყოფის ციებ-
ცხელებიანი მდგომარეობა; ორსულობა; კუჭის
წყლულოვანი დაავადება, პილოროსტენოზით და
სისხლდენის საშიშროებით; რიგიდული ანალური
გასტრიტი; ეპილეფსია; მოქმედების ზონაში
ლითონის უცხო სხეულების არსებობა.

სანტიმეტრული დიაპაზონის ტალღების ელექტრომაგნიტური ველით მკურნალობის ტექნიკა და პროცედურების ჩატარების მეთოდიკა: პროცედურების ჩასატარებლად გამოიყენება აპარატი „ლუბ-11“. არსებობს პროცედურის ჩატარების ორი მეთოდიკა – დისტანციური და კონტაქტური. დისტანციური მეთოდიკის დროს გამომსხივებელს ათავსებენ ავადმყოფის სხეულიდან დაშორებით (5-7 სმ-ში). კონტაქტური მეთოდიკის დროს გამომსხივებელს უშუალოდ ათავსებენ სხეულის ზედაპირზე. დისტანციური მეთოდიკის დროს სიმძლავრე 40-80 ვარია, ხოლო კონტაქტური მეთოდიკისას – 3-10 ვარი. სანტიმეტრული დიაპაზონის ტალღების ელექტრომაგნიტური ველით ზემოქმედების ხანგრძლივობა შეადგენს 4-5-დან 10-15 წუთამდე 1 არეზე. პროცედურის საერთო ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 30 წუთზე მეტი. პროცედურის ჩატარების შემდეგ რეკომენდებულია დასვენება 15-20 წუთის განმავლობაში. პროცედურები ტარდება ყოველდღე ან დღეგამოშვებით. მკურნალობის კურსი მოიცავს 3-20 პროცედურას.



ი. გორბაჩოვის
ბიოდოზიმეტრი



ულტრაიისფერი
გამოსხივების
აპარატი „ბოდ – 9“

3.12. სინათლით მკურნალობა

სინათლით მკურნალობა, ანუ ფოტოთერაპია, მზის ან ხელოვნურად მიღებული სხივური ენერგიის გამოყენებაა მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციისთვის.

მზის გამოსხივების მთელ სპექტრს ყოფენ 6 არედ:

ა. გამა-სხივები. ამ ტალღების სიგრძე 10 ნმ-ზე ნაკლებია.

ბ. რენტგენის გამოსხივება. ამ ტალღების სიგრძე 10 ნმ-დან 100 ნმ-დება.

გ. ულტრაიისფერი რადიაცია. ამ ტალღების სიგრძე 380 ნმ -დან 10 ნმ-დება.

დ. სპექტრის ხილული გამოსხივება ანუ ხილული სინათლე. ამ ტალღების სიგრძე 780 ნმ-დან 380 ნმ-დება. თავის მხრივ ხილულ სინათლეში გამოიყოფა 7 ფერი: იისფერი (ტალღების სიგრძეა 380 ნმ-დან 450 ნმ-დება), ლურჯი (ტალღების სიგრძეა 450 ნმ-დან 480 ნმ-დება), ცისფერი (ტალღების სიგრძეა 480 ნმ-დან 510 ნმ-დება), მწვანე (ტალღების სიგრძეა 510 ნმ-დან 570 ნმ-დება), ყვითელი (ტალღების სიგრძეა 570 ნმ-დან 590 ნმ-დება), ნარინჯისფერი (ტალღების სიგრძეა 590 ნმ-დან 630 ნმ-დება) და წითელი (ტალღების სიგრძეა 630 ნმ-დან 780 ნმ-დება).

ე. ინფრაწითელი რადიაცია (ტალღების სიგრძეა 780 ნმ-დან 1 მმ-დება).

ვ. რადიოტალღური გამოსხივება (ტალღების სიგრძეა 1 მმ და მეტი).

მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის მიზნებისთვის ძირითადად გამოიყენება ოპტიკური გამოსხივება, რომელიც მოიცავს ინფრაწითელი, ხილული და ულტრაიისფერი რადიაციის ტალღებს.

კანი ყველაზე მეტად განიცდის აღნიშნული ტალღების ზემოქმედებას.

დადგენილია, რომ ცოცხალ ორგანიზმზე ბიოლოგიურ ზეგავლენას ახდენს მარტო შთანთქმული ენერგია. კანზე მოხვედრისას აირეკლება ინფრაწითელი სხივების 60%, ხილული სხივების – 40% და ულტრაიისფერის - 10%. ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სინათლის სპექტრის ბიოლოგიურად ყველაზე აქტიური ნაწილი – ულტრაიისფერი რადიაცია, თითქმის მთლიანად შთაინთქმება კანით, ხოლო ხილული და ინფრაწითელი ნაწილი – მნიშვნელოვანი რაოდენობით.

კანის რეაქცია სინათლეზე დამოკიდებულია ორგანიზმის რეაქტიულობაზე, გამოსხივების სპექტრულ შემადგენლობასა და მის ინტენსივობაზე. იგი დამცავი რეფლექსია სინათლით გადიზიანებაზე. მხოლოდ ინფრაწითელი რადიაციით კანის დასხივება იწვევს სითბოს სწრაფ შეგრძნებას და დასხივებული უბნის გაწითლებას. ეს უკანასკნელი ვითარდება დასხივების დაწყებიდან რამდენიმე წუთში და მოქმედების შეწყვეტიდან 20-90 წუთში ქრება. კაპილაროსკოპიულად კანში ვლინდება ზედაპირული კაპილარული ქსელის გაფართოება და სისხლის ნაკადის სიჩქარის ზრდა. კანში ცვლილე-

ბების პისტოლოგიური სურათი დამოკიდებულია დასხივების ხანგრძლივობასა და ინტენსივობაზე. მცირე ინტენსივობის დროს ცვლილებები ხანმოკლეა და ძირითადად ვლინდება საკუთრივ კანის შემაერთებელ ქსოვილში. ხდება კაპილარების და არტერიების გაფართოება (ეს სურათი შეიძლება გაგრძელდეს 2 დღემდე, ერთეულის გაქრობიდან), დგრილების შეშუპება და ლეიკოციტებით სისხლძარღვთა ირგვლივ ინფილტრაცია. დასხივების ინტენსივობის ზრდის შემდეგ ცვლილებები უკვე ეპიდერმისშიც ვლინდება.

ულტრაიისფერი რადიაციის მოქმედება ცოცხალ ორგანიზმზე: კანის ულტრაიისფერი რადიაციის დასხივებისას სითბო არ შეიგრძნობა, რაც აიხსნება სინათლის სპექტრის აღნიშნულ ნაწილში ენერგიის მცირე რაოდენობით. ეს ეხება ერთნაირი ხარისხით მზესაც და ულტრაიისფერი რადიაციის ხელოვნურ გამომსხივებლებს.

ულტრაიისფერი სხივების გამოყენების დროს ერითემა არ წარმოიქმნება. იგი ჩნდება მხოლოდ დასხივებიდან 26 საათში, თანდათან ძლიერდება, აღწევს მაქსიმუმს, შემდეგ თანდათან ფერმკოალდება და ქრება. ეს პროცესები გრძელდება 12 საათიდან რამდენიმე დღემდე, რაც დამოკიდებულია სპექტრის შემადგენლობაზე, დასხივების ინტენსევობაზე, ცენტრალური ნერვული სისტემის მდგომარეობაზე, ავადმყოფის ინდივიდუალურ მგრძნობელობასა და დასხივების ადგილზე. ერითემის წარმოქმნა მჭიდრო კავშირშია გამოსხივების ტალ-

დების სიგრძესთან. ყველაზე აქტიურია 297 მმკ სიგრძის სხივები. შემდეგ მას მოსდევს 302 მმკ სიგრძის სხივები. დიდი მნიშვნელობა აქვს დასხივების ინტენსივობას. ასე მაგალითად, კანზე სუსტად მოქმედ დიდი ინტენსივობის სხივების ნაკადსაც კი შეუძლია გამოიწვიოს კაშკაშა ერთემა.

სხვადასხვა ადამიანში ულტრაიისფერი სხივებისადმი მგრძნობელობა განსხვავებულია. პიგმენტირებული კანი ნაკლებ მგრძნობიარეა, არაპიგმენტირებული - -უფრო ნაკლებად. მგრძნობელობის დაქვეითება აღენიშნებათ კახექსიურ ავადმყოფებს და მშრალი კანის მქონე პირებს. პირიქით, გაძლიერებული ოფლიანობის შემთხვევაში, ვლინდება ულტრაიისფერი სხივებისადმი მომატებული მგრძნობელობა.

კანის pH-ის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი მგრძნობელობის შეცვლა (ცვლილება მუავე არის კენ).

სხივებისადმი მგრძნობელობა სხეულის კანის სხვადასხვა უბანზე: ყველაზე მგრძნობიარეა ტანის კანი, ყველაზე ნაკლებ მგრძნობიარე კი - ხელის მტევნების და ტერფების კანი.

როდესაც ულტრაიისფერი ერთემა თანდათან ქრება, კანი ხდება მშრალი და იქერცლება. დასხივების ადგილზე მეტ-ნაკლებად შეიმჩნევა პიგმენტაცია. დასხივებულ უბანზე კაპილაროსკოპიული სურათი შემდგენაირია: დასხივების დროს კაპილარული ქსელი უცვლელია, ზოგჯერ პირველ წუთებში შესაძლებელია შეინიშნოს კაპილარების

უმნიშვნელო შევიწროება; ერითემის წარმოქმნასთან ერთად კაპილარები ფართოვდება, გამოიკვეთება (ზოგჯერ იშვიათად) სუბკაპილარული ქსელი. მკვეთრად გამოხატული ერითემის დროს აღინიშნება ექტაზიები, თრომბების წარმოქმნა. კაპილარული ქსელის გაფართოება დიდხანს რჩება ერითემის გაქრობის შემდეგაც.

დასხივებულ უბნებზე 5-6 თვის მანძილზე აღინიშნება სისხლძარღვთა ლაბილობა. მცირე მექანიკური გაღიზიანება იწვევს კანის გაწითლებას დასხივებულ ადგილზე. ამავე დროს, მოსაზღვრე უბნები ანალოგიურ გაღიზიანებაზე არ რეაგირებს.

მიკროსკოპული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ დასხივებულ კანში ცვლილებები ვითარდება 2 დიდი პერიოდის განმავლობაში:

ა. ალტერნატიულ-ექსუდაციური ანთებითი პროცესის პერიოდში;

ბ. ადგილობრივი შემაერთებელი ქსოვილის უჯრედების და ეპითელური ელემენტების გაძლიერებული გამრავლების პერიოდში და ამ მდგომარეობასთან დაკავშირებულია თმების გაძლიერებული ზრდა.

მთელი რიგი თანმიმდევრული ბიოფსიების სისტემატური კვლევა გვაძლევს შემდეგ სურათს: დასხივებიდან 1 საათში კანში ცვლილებებს ადგილი არა აქვს. 5-6 საათის შემდეგ, ერითემის წარმოქმნის მომენტში, ხდება სისხლძარღვების გაფართოება და მათი სისხლსავსეობა. მე-2 დღე-ლამეს, როდესაც ერითემა თავის მაქსიმუმს აღწევს, ეპი-

დერმისის უჯრედების მნიშვნელოვანი ნაწილი ნეკრობიოზის და ნეკროზის მდგომარეობაში იმყოფება. 3-5 დღის შემდეგ ერითემა მცირდება. მიკროსკოპის ქვეშ ჩანს ეპიდერმისის გასქელება. ბაზალური შრის უჯრედებში ვლინდება მიტოზების დიდი რაოდენობა. ახალწარმოქმნილ და მკვდარ შრეებს შორის საზღვარზე ჩნდება პიგმენტი. ეს უკანასკნელი უფრო მაღლა მდგომ წვეტიან უჯრედებშიც კი არის. დასაშვებია, რომ ეს ზემოთ წამოწეული ბაზალური უჯრედებია, რომლებშიც ჯერ კიდევ შემორჩენილია პიგმენტი. რაც შეეხება ახალშექმნილ ბაზალურ უჯრედებს, მათში პიგმენტი ჯერ არ ჩანს. იწყება თმის ბუდეების ზრდა. მე7-9 დღეს ერითემა უპავ არ შეიმჩნევა, ხდება კანის აქერცვლა.

ამ დროს ჩატარებული ბიოფსიისას ვლინდება ეპიდერმისის მნიშვნელოვანი გასქელება რქოგანი შრის ხარჯზე, რომლის ზედა შრე შედგება დეგენერირებული ეპითელური უჯრედებისა და ლეიკოციტებისაგან. რქოვანი შრის ქვეშ მდებარე ბაზალური უჯრედების მნიშვნელოვანი გროვა, რომელიც შეიცავს პიგმენტს, განაპირობებს კანის რუჯს.

25-30 დღის შემდეგ მიკროსკოპის ქვეშ ეპიდერმისი გასქელებულია. უშუალოდ კანში აღინიშნება შემაერთებელი ქსოვილის პიპერპლაზია, თმის ბუდეების გამრავლებით. ერთდროულად ვითარდება ცვლილებები კანის მგრძნობიარე ნერვების დაბოლოებებშიც. ეპიდერმისის გასქელების პერი-

ოდში აღებულ პისტოლოგიურ ანათალებში ჩანს კანის ნერვული ტოტების პიპერტროფია და განტოტება, რომლებიც აღწევს ეპიდერმისის ყველაზე ზედაპირულ ფენებშიაც კი. იცვლება ნერვული დაბოლოებები. ეს რეაქცია შექცევადია: ეპიდერმისში ცვლილებების გაქრობისას ანალოგიურ ცვლილებებს განიცდის პერიფერიული ნერვების დაბოლოებებიც. ჯანმრთელ, ნორმალურ კანში ულტრაიისფერი სხივებით განვითარებულ ცვლილებებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხივების ზემოქმედების შესწავლას კანის ჭრილობების დროს. ჭრილობის შეხორცება და ეპითელიზაცია ვითარდება სრულად და შედარებით ხანმოკლე პერიოდში. გარდა ამისა, ადგილი აქვს ქსოვილების შესამჩნევ პიპერპროდუქციას. განვითარებული ეპითელური საფარი მნიშვნელოვნად (ზოგჯერ რამდენჯერმეტ) უფრო სქელია, ვიდრე მანამდე არსებული. უჯრედების გამრავლების პარალელურად მიმდინარეობს ეპითელოიდური და ფიბრობლასტური ტიპის შემაერთებელი ქსოვილის ელემენტების წარმოქმნის გაძლიერებული პროცესი, ზოგჯერ ახალი, მსხვილი კვანძების წარმოქმნამდეც კი.

სინათლით დასხივება აჩქარებს (კონტროლთან შედარებით რამდენჯერმეტ) კანის ჭრილობების შეხორცებას. მრავალჯერადი დასხივება მცირედოზებით შედარებით ნაკლებ თერაპიულ ეფექტს იძლევა, ვიდრე ერთ ან სამჯერადი დასხივება ძლიერი დოზებით (თუმცა საერთო ენერგია ორივე

შემთხვევაში შეიძლება ერთნაირიც იყოს). კანის გადიზიანების საპასუხოდ ვითარდება პიგმენტაცია. კანის პიგმენტი მელანინების ჯგუფს ეკუთვნის. მისი წარმოქმნის ადგილი მელანობლასტები და ბაზალური უჯრედებია. პიგმენტებით ამოვსებული მელანობლასტების მორჩები ღრმად აღწევს ეპითელიუმის უჯრედებს შორის. ნორმალურ პირობებში შეღებილი მელანინი წარმოიქმნება უფერო თიროზინის დაჟანგვით განსაკუთრებულ ფერმენტ თიროზინაზით, რომელსაც შეიცავს მელანობლასტები. ულტრააისფერი გამოსხივება ამაღლებს მელანობლასტების ენზიმურ აქტივობას.

პიგმენტი კანში არათანაბრადაა განაწილებული. ყველაზე მეტად პიგმენტირებულია სახე, ზურგი, ხელის მტევნების ზურგის მხარე. თითქმის არ არის პიგმენტი მუცელის, ხელისგულებისა და ფეხისგულების კანში.

სინათლის ზემოქმედებით პიგმენტის რაოდენობა კანში შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

კანის პიგმენტაცია ვითარდება როგორც ულტრააისფერი, ასევე ინფრაწითელი და ხილული სხივების გავლენის შედეგადაც, თუმცა უფრო ინტენსიური და მდგრადი ხასიათი აქვს სპექტრის ყველა სხივის ერთდროულ ზემოქმედებას. უმეტეს შემთხვევაში ულტრააისფერი რადიაციით დასხივება იწვევს თანაბარ, მაგრამ არამდგრად პიგმენტაციას. ინფრაწითელი სხივების მოქმედების შემდეგ ვითარდება პიგმენტის არათანაბარი, რგო-

ლისებური ჩალაგება, რომელიც ჩვეულებრივ
მდგრადია.

კანის ძლიერი ერითემის შემდეგ, რომელიც ულტრაიისფერმა სხივებმა გამოიწვია, ვითარდება ყველაზე ხანგრძლივად გამოხატული რუჯი, რადგანაც პიგმენტური მარცვლები გადადგილდება კანის ზედაპირულ შრეებში.

კანის პიგმენტაცია არ არის დამოკიდებული ერითემის წარმოქმნაზე. განმეორებითი სისტემატური გრძელტალღოვანი ულტრაიისფერი დასხივებით, რომელიც არ იწვევს ხილულ ერითემას, შესაძლებელია გამოვიწვიოთ კანის ინტენსიური პიგმენტაცია. პიგმენტაციის ეს ტიპი განპირობებულია არა ახალი პიგმენტური მარცვლების წარმოქმნით, არამედ უკვე არსებული პიგმენტური მარცვლების შეფერილობის ინტენსივობის ზრდით.

კანში დაგროვილი პიგმენტი ცვლის მის არეპზლისა და შთანთქმის უნარს. მელანინის მიერ სხვადასხვა სხივების შთანთქმა მრავალჯერ მეტია ადამიანის სხეულის ქსოვილების მიერ იმავე სხივების შთანთქმის უნარზე.

პიგმენტი შთანთქავს მოკლეტალღოვან სხივებს უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე ხილულ წითელ, ნარინჯისფერ, ყვითელ და მწვანე სხივებს. ამის გამო პიგმენტი ძლიერ მოქმედებს (რაოდენობრივად და თვისობრივად) ღრმად მდებარე ქსოვილებში შეღწეული სხივური რადიაციის სპექტრის შემადგენლობაზე. ქსოვილების მიერ შთანთქმული სხივური

ენერგია გარდაიქმნება სითბურში, რაც აძლიერებს ოფლის გამოყოფას.

პიგმენტი არ იცავს კანს ერითემის წარმოქმნისაგან. სხივებისადმი კანის მგრძნობელობის დაქვეითება ვითარდება უფრო ადრე და ქრება უფრო სწრაფად, ვიდრე პიგმენტაცია. ულტრაიისფერი სხივების მცირე დოზებით დასხივებით შეიძლება მივაღწიოთ სინათლისადმი კანის მნიშვნელოვან მდგრადობას, პიგმენტაციის წარმოქმნის გარეშე.

არსებობს აზრი, თითქოს პიგმენტის მარცვლები ხვდება ბაზალური უჯრედებიდან უშუალოდ კანში, ხოლო იქიდან ლიმფური გზებით - სისხლის საერთო ნაკადში. პიგმენტი ბიოლოგიურად ძალიან აქტიურია, რაც განაპირობებს სინათლის საერთო მოქმედებას ორგანიზმზე.

კავშირი ულტრაიისფერი რადიაციით დასხივების შემდეგ წარმოქმნილ პიგმენტაციის ხარისხსა და ულტრაიისფერი სხივების საერთო ოერაპიულ მოქმედებას შორის დადგენილი არ არის.

ერთი მხრივ, დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ადამიანები, რომლებიც სწრაფად და ძლიერად ღებულობენ რუჯს, ფიზიკურად უფრო ამტანი არიან და მავნე ზემოქმედების მიმართ უკეთესი მდგრადობა აქვთ, ვიდრე სუსტად ან რუჯის საერთოდ ვერ მიმდები პირები. მეორე მხრივ, დაავადების სასიკეთო მიმდინარეობა ხშირად აღინიშნება სუსტად გამოხატული პიგმენტაციის დროსაც.

მზის რადიაციის არასწორმა გამოყენებამ ჯანმრთელებისა და ავადმყოფი პირების მიერ გა-

მოხატული ნამზეურის მისაღებად შეიძლება გამოიწვიოს საერთო მდგომარეობის გაუარესება და ქრისტიანული პროცესების გამწვავება (ტუბერკულოზი, მალარია და სხვ.).

ულტრაიისფერი სხივებისადმი მგრძნობელობის დაქვეითების მექანიზმი ჯერ კიდევ არ არის კარგად შესწავლილი. საფიქრებელია, რომ აქ ერთი კი არა, რამდენიმე ფაქტორი მონაწილეობს.

ეჭვგარეშეა, რომ მნიშვნელობა აქვს რქოვანი შრის გასქელებას, რაც ზრდის მის შთანთქმის უნარს და იცავს დრმად მდებარე ეპიდერმულ უჯრედებს ულტრაიისფერი სხივების გავლენისგან. მნიშვნელობა აქვს პროტოპლაზმის ფიზიკო-ქიმიური თვისებების შეცვლას, რაც ამცირებს ულტრაიისფერი სხივების მიმართ უჯრედების განვლადობას.

სინათლის სპექტრის უმთავრესად ულტრაიისფერი ნაწილის ზემოქმედებით კანში ვითარდება რიგი ფიზიკო-ქიმიური ცვლილება. უკვე 3 საათის შემდეგ კანის დასხივებულ უბანში და ირგვლივ მდებარე კანქვეშა უჯრედებში აღინიშნება კათიონების (ძირითადად ნატრიუმისა და კალციუმის) მნიშვნელოვანი შემცირება, ანიონის (ქლორის) სტაბილური ან მზარდი რაოდენობის პირობებში. კათიონების რაოდენობის შემცირება განპირობებულია სისხლში მათი გადასვლით. კანში კათიონებს და ანიონებს შორის წონასწორობის დარღვევა იწვევს pH-ის ცვლილებას მჟავიანობისკენ. რეაქციის ცვლილება მაქსიმუმს აღწევს ერთეულის განვითა-

რების მომენტისათვის. ერითემის შემცირებასთან ერთად კანის pH უბრუნდება საწყის დონეს. ასევე იცვლება კანში შაქრის შემცველობა. ამ პროცესში დიდი როლი ენიჭება დასხივების ინტენსივობას. ძალიან მაღალი ინტენსივობის გამოყენების დროს კანში შაქრის რაოდენობა მატულობს, საშუალო ინტენსივობისას – კლებულობს.

ულტრაიისფერი სხივების მოქმედებით კანში მატულობს ნარჩენი აზოტი, თანაც მისი მაქსიმალური მატება აღინიშნება ერითემის მაქსიმალური განვითარების მომენტში.

ცხოველთა მუცლის კანში ამინაზოტისა და პოლიპეპტიდური აზოტის რაოდენობას დასხივებიდან უკვე 3 საათში აქვს ტენდენცია მატებისკენ, ხოლო 24 საათის შემდეგ აღინიშნება ცილების დაშლა, აღნიშნული ნივთიერებების გარდამავალი და საბოლოო პროდუქტების შემდგომი მატებით. ამგვარად, ცილის დაშლის პროდუქტების ზრდა მიმდინარეობს კანში ანთებითი პროცესების განვითარების პარალელურად. კანში ცილის დაშლის მჟავე პროდუქტების დაგროვება ასევე ზრდის pH-ის გადახრას მჟავიანობისკენ.

ბოლო დროის მონაცემებით, კანში ფიზიოლოგიური პროცესები მიმდინარეობს ფაზურად. მაგალითად, დასხივებიდან პირველივე წუთებში კანში აღმოჩენილია ისეთი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, როგორიცაა აცეტილქოლინი და ჰისტამინი.

ულტრაიისფერი სხივების სამკურნალო–პროფი-ლაქტიკური მიზნით გამოყენებას საფუძვლად უდევს ამ სხივების ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მოქმედება.

მაგალითად, ზოგადი დასხივება ფართოდ გამოიყენება რაქიტის დროს, რადგანაც ადამიანის კანში არსებული პროგრამინი 7-დღიდროქოლეს-ტეროლი ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენით გადადის D3 ვიტამინში, რომელიც მძლავრი ანტირაქიტული ფაქტორია.

პროფილაქტიკურ დასხივებას ექვემდებარებიან პირველ რიგში დღენაკლულები, ხელოვნურ კვებაზე მყოფი, ხშირად მოავადე ბავშვები და ა.შ. მექუმური დედის დასხივება ულტრაიისფერი სხივებით აძლიერებს მისი რძის ანტირაქიტულ თვისებებს.

ორსულ ქალებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ორსულობის მე-3, მე-5 კვირიდან მათზე ულტრაიისფერი სხივებით ზემოქმედებით შესაძლებელია თავიდან აცილებულ იქნას ნაყოფში რაქიტის განვითარება მუცლად ყოფნის პირველ 2-3 თვეში.

სინათლის ბაქტერიციდული მოქმედება დადგენილი იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს. ბაქტერიებზე სინათლის რადიაციის მომაკვდინებელი მოქმედება დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე:

ა. სპექტრულ შემადგენლობაზე. რაც უფრო მოკლეა ულტრაიისფერი სხივები, მით უფრო ძლიერად არის გამოხატული მათი ბაქტერიციდული მოქმედება. განსაკუთრებით ბაქტერიციდულია

მოკლეტალდოვანი ულტრაიისფერი სხივები. მათი მოქმედების მაქსიმუმი მოდის 254-265 მმკ სიგრძის ტალღაზე;

ბ. გამოსხივების ინტენსივობაზე. კონცენტრირებული სინათლე მოქმედებს უფრო ძლიერად, ვიდრე არაკონცენტრირებული. პირდაპირი მზის სხივი ბაქტერიებს კლავს უფრო სწრაფად, ვიდრე გაფანტული სხივი;

გ. ბაქტერიების ასაკზე. ბაქტერიების ახალგაზრდა ფორმები უფრო მგრძნობიარეა სინათლის მიმართ, სპორები კი სინათლის მიმართ ძალიან გამძლე არიან;

დ. ბაქტერიების სახეობაზე. სხვადასხვა სახის ბაქტერიები მგრძნობიარე არიან ტალღის სხვადასხვა სიგრძის მიმართ. მაგალითად, ენერგიის მინიმალური რაოდენობის დროს *Staphylococcus aureus*-ის და *B. pyocyanus*-ის კვდომა ვითარდება 265 მმკ სიგრძის ტალღის ზემოქმედებისას, *B. coli*-ის კი – 234 მმკ სიგრძის ტალღით დასხივების დროს;

ე. გარემოს ტემპერატურაზე. დაბალი ტემპერატურის დროს სინათლის ბაქტერიიციდული თვისება ვლინდება უფრო სუსტად, ვიდრე მაღალი ტემპერატურის დროს;

ვ. გარემოს სისქეზე. ზედაპირზე მყოფი ბაქტერიები სინათლის მოქმედებით მაღალ კვდებიან. სიღრმეში განლაგებულთათვის კვდომის პერიოდი დამოკიდებულია გარემოს სისქესა და გამჭირვალობაზე სპექტრის სხვადასხვა მონაკვეთისთვის.

ბაქტერიებზე სინათლის მოქმედების მექანიზმი განპირობებულია ულტრაიისფერი გამოსხივების მოქმედებით უჯრედის ბირთვის სუბსტანციაზე.

ულტრაიისფერი დასხივებისას დასაწყისში ხდება ბაქტერიების გაღიზიანება, ე.ი. მათი ცხოველქმედების აქტივაცია. შემდგომი დასხივება თრგუნავს მათ ცხოველქმედებას ცილის დენატურაციის შედეგად. საკმარისად დიდი დოზების გამოყენებისას ვითარდება ცილების კოაგულაცია და ბაქტერიების კვდომა.

სინათლის პირდაპირი ბაქტერიციდული მოქმედება შეიძლება გამოყენებული იყოს სამკურნალო მიზნით მხოლოდ ზედაპირულად განლაგებულ ბაქტერიებზე (ინფიცირებული ჭრილობები, ბაცილ-მტარებლების ლორწოვანი გარსების დასხივება). საფუძველი არ გვაქვს ვიგარაუდოთ სინათლის უშუალო მოქმედებაზე ლრმად მდებარე ბაქტერიების მიმართ, რადგანაც ამ მხრივ აქტიური სხივები შთაინოქმება თვითონ კანის ზედაპირული ფენებით.

ტუბერკულოზით დაზიანებული ქსოვილები ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით სტერილური ხდება 0,5 მმ-ის სიღრმეზე, მაშინ როდესაც ტუბერკულოზური უბნები მოთავსებულია 1 მმ-დან 3 მმ-დე სიღრმეში. ითვლება, რომ ტუბერკულოზის ჩხირზე ულტრაიისფერი სხივების პირდაპირ მოქმედებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს და სამკურნალო მოქმედება ძირითადად აიხსნება მათი უნარით, გამოიწვიონ კანში ანთებითი რეაქცია.

ბოლო დროს დაგროვდა ფაქტები, რომელთა მიხედვით, განსაზღვრული მეთოდიკით ულტრაიისფერი რადიაციით დასხივებამ შეიძლება იმოქმედოს ცოცხალი ორგანიზმის რეაქციულ უნარზე.

დასხივების ზემოქმედებით (ძირითადად ულტრაიისფერი სხივებით) იცვლება სისხლის ბაქტერიციდული და იმუნური თვისებები. სისხლის ბაქტერიციდული თვისებები ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენით მატულობს. ბალიან ხშირმა და ინტენსიურმა დასხივებამ შეიძლება გამოიწვიოს საპირისპირო რეაქცია – დააჭვეოთოს აგლუტინაციის ტიტრი, შეასუსტოს სისხლის ბაქტერიციდული თვისებები.

ამ სხივების ზემოქმედება ღრმად მდებარე ქსოვილებზე შეიძლება აიხსნას მათი გავლენით ცენტრისკენული ნერვების დაბოლოებებზე, კანში ისეთი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წარმოქმნით, რომელთა შეწოვას შეუძლია იმოქმედოს სხვადასხვა ორგანოების და სისტემების რეცეპტორებზე. საფიქრებელია, რომ ამ ნივთიერებებს უნარი აქვთ, შეცვალონ კანში იმუნური პროცესების ინტენსივობა. ასე მაგალითად, ულტრაიისფერი სხივების დიდი დოზის ზემოქმედებით კანის უბანს ადარ შესწევს ტუბერკულინზე საპასუხო რეაქციის უნარი.

ულტრაიისფერი სხივებით ზოგადი დასხივების მეთოდი და ჩვენებები: ვერცხლისწყლის კვარცის ნათურით დასხივებას, როგორც მასტიმულირებელ აგენტს, უნიშნავენ რეკონვალესცენტებს და

კახექსიის დროს. მკურნალობის კურსის შედეგად აღინიშნება საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება (უმჯობესდება ოვითშეგრძნება, მადა, ძილი).

დერმატოლოგიაში ულტრაიისფერი სხივებით ადგილობრივი დასხივების ჩვენებები: ფსორიაზი, ეგზემა, პიოდერმია, წითელი ქარი, კანის ტუბერკულოზი.

ულტრაიისფერი სხივებით მკურნალობის უპარვენებები: ავთვისებიანი სიმსივნეები; სისტემური წითელი მგლურა; ციებცხელებიანი მდგომარეობა; გამოხატული კახექსია, სისხლდენებისკენ მიდრეკილება; ფილტვების აქტიური ტუბერკულოზი; გენერალიზებული დერმატიტი; თირკმლებისა და დვიძლის ფუნქციური უკმარისობა; გულის უპმარისობის III-IV ფუნქციური კლასი (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); არტერიული ჰიპერტენზია (ჯმო-ს კლასიფიკაცია); გამოხატული ათეროსკლეროზი; ულტრაიისფერი ჰიპერთირეოზი.

ულტრაიისფერი რადიაციის მიღება და გამოყენების მეთოდიკა: ბუნებრივ პირობებში ულტრაიისფერი რადიაციის წყარო მზეა. პროცედურები ტარდება სოლარიუმებსა და სამედიცინო პლაჟებზე.

ულტრაიისფერი რადიაციის მისაღებად ფიზიო-თერაპიულ კაბინეტებში გამოიყენება აპარატები „დრტ-100“ („ДРТ-100“), „დრტ-380“ („ДРТ-380“) (გენგრირებები ულტრაიისფერ სხივებს, რომელთა ტალღების სიგრძეა 235-365 ნმ), „დბ-30“ („ДБ-30“)

(გენერირებს ულტრაიისფერ სხივებს, რომელთა ტალღების სიგრძეა 253,7 ნმ), „ოკრ-21მ“ („OKR-21M“), „ბოდ-9“ („БОД-9“) და სხვ.

დერმატოლოგიაში თავის თმიანი ნაწილის დასხივებისა და ქრონიკული დერმატოზების ფოტოქიმიოთერაპიისთვის ფართოდ გამოიყენება გრძელტალღვანი ულტრაიისფერი დერმატოლოგიური დამასხივებელი „ოუგ-1“ („ОУГ-1“). აღნიშნული აპარატი გენერირებს ულტრაიისფერ სხივებს, რომელთა ტალღების სიგრძეა 320-400 ნმ.

ულტრაიისფერი რადიაციის ინტენსივობისა და დასხივების ხანგრძლივობის დასადგენად გამოიყენება დოზიმეტრები.

დოზიმეტრების მეშვეობით განსაზღვრავენ ბიოდოზას – მინიმალურ დროს, რომლის განმავლობაში მზის პირდაპირი სხივების (ნაშუადღევს) ზემოქმედებისას ან აპარატებით გენერირებული ულტრაიისფერი რადიაციის მეშვეობით დასხივება (სხივები ზემოქმედებისას პერპენდიკულარულად უნდა იყოს ბიოდოზიმეტრის მიმართ) იწვევს სუსტი (ზღვრულ) ერითემის ჩამოყალიბებას.

კურორტებსა და ფიზიოთერაპიულ კაბინეტებში ფართოდ გამოიყენება ი. გორბაჩოვის ბიოდოზიმეტრი, რომელიც წარმოადგენს ექვს სწორკუთხა ნახვებიან (ყოველი ნახვრების ზომაა 7 მმ X 25 მმ-ზე) ლითონის ფირფიტას. ეს ნახვრები იკეტება თავისუფლად მოძრავი სახურავით. ბიოდოზიმეტრს, რომლის ყველა ნახვრები დახურულია, ამაგრებენ გაშიშვლებულ მუცელის კანზე, შეა ხაზთან ახლოს,

ჭიპთან ან ხელზე. კანის ის ნაწილი, რომელიც არ ექვემდებარება დასხივებას, იფარება ზეწრით. ჯერ სსნიან პირველ ნახვრეტს და კანი სხივდება მზით ან ხელოვნურად მიღებული ულტრაიისფერი რადიაციით 30 წმ-ის განმავლობაში. შემდეგ იხსნება მეორე ნახვრეტი და კანი ამ ნახვრეტის მეშვეობით სხივდება 30 წამის განმავლობაში. ამავე დროს, პირველ ნახვრეტში კანის დასხივების ხანგრძლივობა შეადგენს ერთ წუთს. ყოველ 30 წამში იხსნება შემდეგი ნახვრეტი. I ნახვრეტის ქვეშ კანის დასხივების ხანგრძლივობა იქნება 3 წუთი, მეორე ნახვრეტის ქვეშ – 2,5 წუთი, მესამე ნახვრეტის ქვეშ – 2 წუთი, მეოთხე ნახვრეტის ქვეშ – 1,5 წუთი, მეხუთე ნახვრეტის ქვეშ – 1 წუთი, ხოლო მეექსე ნახვრეტის ქვეშ – 30 წამი.

დასხივებიდან 6-8-24 საათის შემდეგ, კანის ვოზუალური შემოწმებისას, აღინიშნება მსუბუქად გამოხატული პიპერებია - ვარდისფერი ზოლი ოთხი გამოხატული კუთხით. სწორედ ამით განისაზღვრება ერთეულის მისაღებად საჭირო უმცირესი დრო (ბიოდოზა). მაგალითად, ოუ გამოვლინდა 5 ზოლი და ბოლო მათგანი სხივდებოდა 1 წუთი, შესაბამისად ბიოდოზა უდრის ერთ წუთს.

ულტრაიისფერი რადიაციით ზოგადი დასხივებების დროს ერთი პროცედურის განმავლობაში რიგრიგობით ზემოქმედებენ ადამიანის გაშიშვლებულ გულმკერდსა და ზურგზე. მანძილი ხელოვნურად მიღებული ულტრაიისფერი რადიაციის წყაროდან პაციენტამდე 50-100 სმ-ია. პროცედურის ჩა-

ტარების დროს პაციენტი უნდა იყო სინათლისგან დამცავ სათვალეებში. პროცედურას იწყებენ ბიოდოზის 1/4 ნაწილით და ამთავრებენ 3-4 ბიოდოზით. პროცედურები ტარდება ყოველდღე ან დღეგამოშვებით. მკურნალობის კურსი მოიცავს 16-21 პროცედურას. საჭიროების შემთხვევაში, 2-3 თვეში შესაძლებელია დასხივების კურსის განმეორება.

თავის თმიანი ნაწილის დასხივებისას ერთი პროცედურის დროს გამოიყენებენ 2-3 ბიოდოზიდან 10-12 ბიოდოზამდე. პროცედურები ტარდება ყოველ-დღე ან დღეგამოშვებით მკურნალობის კურსი მოიცავს ყოველი დაზიანებული კერის 5-6 დასხივებას

სახის არის დასხივება: სახეს ასხივებენ წინიდან ან რიგრიგობით – სახის მარჯვენა ან მარცხენა ნახევარს, დაზიანების კერის ლოკალიზაციის მიხედვით. თვალები უნდა იყოს დახუჭული და პაციენტს ეკეთოს სინათლისგან დამცავი სათვალე. დასხივების დოზა 1/2-დან 3 ბიოდოზამდე. პროცედურები ტარდება ყოველდღე. მკურნალობის კურსი მოიცავს 6 დასხივებას.

ჩვეულებრივი (გულგარული) ფერიმჭამელას ულტრაიისფერი რადიაციით დასხივება: დასხივებისთვის გამოიყენება 2-დან 4-5 ბიოდოზამდე. პროცედურები ტარდება ყოველდღე ან დღეგამოშვებით. მკურნალობის კურსი მოიცავს ყოველი დაზიანებული არის 5-6 დასხივებას.

ჭრილობებისა და ტროფიკული წყლულების ულტრაიისფერი რადიაციით დასხივება: ჭრილობებისა და ტროფიკული წყლულების დროს ასხი-

ვებენ არა მარტო დაზიანებულ კერებს, არამედ, აგრეთვე, მათ გვერდით განლაგებულ ჯანმრთელი კანის 3-5 სმ-ს. სუფთა ჭრილობების დროს დასხივებისთვის გამოიყენება 1-3 ბიოდოზა. თუ ჭრილობიდან გამოიყოფა ჩირქი, გამოიყენება 4-8 ბიოდოზა. პროცედურები ტარდება ყოველდღე ან დღეგამოშვებით. მკურნალობის კურსი მოიცავს 3-4-დან 15 დასხივებამდე.

ეპითელიზაციის სტიმულირებისთვის დასხივებას ატარებენ ერთხელ ან ორჯერ კვირაში 0,5-1,5 ბიოდოზით.

ტროფიკული წყლულების არსებობისას, წყლულების და მათ გარშემო არსებული ჯანმრთელი კანის გარდა, 2-3-ჯერ, ყოველ მეორე-მესამე დღეს ასხივებენ აგრეთვე ზურგის ტვინის სეგმენტურ ზონებს (ხერხემლის არეში). დასხივების ინტენსივობა 2-3 ბიოდოზიდან 5-6 ბიოდოზამდეა.

ხილული გამოსხივების ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე

ხილული გამოსხივება რეფლექტორულად განსაზღვრავს ადამიანის აქტივობის დღედამურ ბიორიტმს. ეს ბიორიტმი წარმოადგენს ადამიანის რეფლექტორული და პირობით-რეფლექტორული მოღვაწეობის წყაროს. გარდა ამისა, თავისი ენერგეტიკული პარამეტრებით ხილული გამოსხივება ახლოს დგას ინფრაწითელ რადიაციასთან და იწვევს ორგანიზმის ქსოვილებში მსგავს ფიზიკო-ქიმიურ ძვრებს. ხილული სინათლის იმ სხივებით ზემოქმედება, რომელთა ტალღების სიგრძეა 405-420

ნმ, ჩვეულებრივი ფერიმჭამელების გამონაყარის დროს, იწვევს *Propionibacterium acne*-ში პორფირინის აქტივაციას, ბაქტერიულ უჯრედში ატომური ჟანგბადის წარმოქმნას და ბაქტერიის დაღუპვას. ხილული ლურჯ-იისფერი რადიაციის ზემოქმედება, წითელ სხივებთან კომპლექსში, იწვევს ფოტობიო-მოდულაციურ ეფექტს.

აპარატურა ხილული გამოსხივების მისაღებად და ამ სხივების გამოყენების მეთოდიკა: ხილული სხივების მისაღებად გამოიყენება აპარატები „ლს-6ბ“ („ЛСМ-6М“), „პლ-6ბ“ („ПЛС-6М“), „ლსნ-1ბ“ („ЛСН-1М“), „ოსნ-70“ („ОСН-70“), „ბიოპტრონი“ („Биоптрон“) და „ბიოპტრონ-კომპაქტი“ („Биоптрон-компакт“) სხვადასხვა ფერის ფილტრებით, დანადგარი წითელი სინათლით დასხივებისთვის „ალოქსი“ („АЛОКС“) და სხვ.

პორტატიული აპარატის „ბიოპტრონ-კომპაქტის“ გამოყენებისას მანძილი დანადგარიდან დასხივებულ-ამდე უნდა იყოს 5 სმ, ხოლო სტაციონარული აპარატის „ბიოპტრონის“ გამოყენებისას – 20 სმ.

ერთი არის დასხივების ხანგრძლივობა 4-8 წუთია. პროცედურები ტარდება ყოველდღე. შესაძლებელია 2-3 პროცედურის ჩატარება დღეში. მკურნალობის კურსი - 3-5-დან 15-20 პროცედურამდე. ერთი არის დასხივების ხანგრძლივობა 4-8 წუთია. პროცედურები ტარდება ყოველდღე. შესაძლებელია 2-3 პროცედურის ჩატარება დღეში.

დერმატოლოგიაში ხილული სხივების გამოყენების ჩვენებები: ფერიმჭამელა, ჭრილობების დუნედ მოშუშება, პიოდერმია, ფურუნკულები, ლიმფადენიტი, დამწვრობა.



ხილული გამოსხივების
აპარატი „ბიოპტრონი“

ინფრაწითელი რადიაცია

ინფრაწითელი რადიაციის სამკურნალო ეფექტები:

ანთების საწინააღმდეგო, სპაზმოლიტიკური, ტროფიკული. ინფრაწითელი სხივების ზემოქმედებისას აღინიშნება აგრეთვე ორგანიზმის ინტოქსიკაციის დათრგუნვა; სისხლის მიმოქცევის, ორგანიზმის ბიოლოგიური და სარეზერვო ფუნქციების სტიმულაცია.



ინფრაწითელი რადიაციის აპარატი „ლსნ-1მ“

დერმატოლოგიაში ინფრაწითელი რადიაციის გამოყენების ჩვენებები: ჭრილობების დუნედ მოშუშება, დერმატიტები, დერმატოზები, ნეიროდერმიტები, მოყინვებისა და დამწვრობების შედეგები, ტროფიკული წყლულები, ნაწიბურები.

აპარატურა ინფრაწითელი სხივების მისაღებად და სამედიცინო მიზნებისთვის ამ სხივების გამოყენების მეთოდიკა: ინფრაწითელ სხივებს გენერირებენ აპარატები „ლსს-6მ“ („ЛСС-6М“), „ლიქ-5მ“ („ЛИК-5М“), „ლსნ-1მ“ („ЛСН-1М“), „ვიტასტიმ-01“ („Витастим-01“) და სხვ.

სახის არის დასხივება ინფრაწითელი რადიაციით: აპარატ „ლსნ-1მ“-ის გამოყენებისას მანძილი გამომსხივებლიდან დასხივების ობიექტამდე უნდა იყოს 40-50 სმ, დასხივების ინტენსივობა – ზომიერი სითბოს შეგრძნება, პროცედურის ხანგრძლივობა – 10-15 წუთი. მკურნალობის კურსი

მოიცავს 4-5 პროცედურას. პროცედურები ტარდება ყოველდღიურად.

დერმატოზების მქონე ავადმყოფთა დასხივება პოლარიზებული სინათლით: აპარატ „ვიტასტიმ-01“-ის დამასხივებლის გამნათებელს აყენებენ 5 სმ-ში დასხივების ზონიდან. თუ კანის დაზიანება 5 სმ²-ზე ნაკლებია, გამოიყენება სტაბილური მეთოდიკა. კანის უფრო ფართო დაზიანებების დროს გამოიყენება ლაბილური (სკანირებული) მეთოდიკა. ერთი პროცედურის განმავლობაში დასხივებული ფართი არ უნდა იყოს 600 სმ²-ზე მეტი. სტაბილური მეთოდიკის გამოყენებისას ერთი ველის დასხივების ხანგრძლივობა 3-10 წუთია; ლაბილური მეთოდიკის გამოყენებისას პროცედურის ხანგრძლივობა 30 წუთამდეა. მკურნალობის კურსი მოიცავს 6-20 პროცედურას. პროცედურები ტარდება ყოველდღე.

ანთებითი ინფილტრატების და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ღია ჭრილობების მქონე ავადმყოფთა დასხივება პოლარიზებული სინათლით: აპარატ „ვიტასტიმ-01“-ის დამასხივებლი გამნათებელს აყენებენ ინფილტრატიდან ან ჭრილობიდან 5 სმ-ზე. დასხივების დრო 3-5 წუთია. პროცედურები ტარდება ყოველდღე. მკურნალობის კურსი მოიცავს 5-8 პროცედურას.

დაავადებები, რომელთა დროს ხილული და ინფრაწითელი სხივების გამოყენება უკუნაჩვენებია: ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი წარმონაქმნები; მწვავე ჩირქოვანი ანთებითი პროცესები; სისხლდენებისკენ მიდრეკილება; ტუბერკულოზის აქტიური

სტადია; ორსულობა; III სტადიის არტერიული პიპერტენზია (ჯმო-ს კლასიფიკაცია); გულის უქმარისობის III-IV ფუნქციური კლასი (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); II ხარისხის ფილტვ-გულის უქმარისობა; გეგეტატიური ფუნქციების მოშლა; ავადმყოფთა მიერ ჰორმონალური, იმუნომასტიმულირებელი და ციტოსტატიკური პრეპარატების მიღების დროს.

3.13. ფოტოსენსიბილიზაცია

სინათლის მოქმედების მექანიზმის გარკვევას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფოტოსენსიბილიზაციის მოვლენის აღმოჩენამ და შესწავლამ. ამ მოვლენას მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ფოტობიოლოგიურ პროცესებშიც. მისი არსი მდგომარეობს ზოგიერთი ნივთიერების უნარში, გააძლიეროს მგრძნობელობა სინათლის მიმართ. ასეთი ფოტოდინამიკური მოქმედება ახასიათებს რიგ საღებავ ნივთიერებებს – ეოზინს, აკრიდინის ჯგუფს და სხვ. ასეთივე როლს თამაშობს ქლოროფილი (მცენარეებში) და პორფირინები (ცხოველურ ორგანიზმში).

ფოტოსენსიბილიზაციის მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ცდა: ბაქტერიების, ინფუზორიების ან ერითროციტების ნარევს უმატებენ რომელიმე ფოტოდინამიკურ მდებავ ნივთიერებას. სანამ ეს ნარევი სიბნელეშია, ნივთიერება არ ავლენს რაიმე მოქმედებას, მაგრამ თუ ნარევს სინათლეზე

გავიტანო, ბაქტერიები და ინფუზორიები სწრაფად იღუპებიან, ერთოროციტები კი პემოლიზს განიცდიან. ასეთი ნივთიერების შეყვანა ცხოველის კანში, რომელსაც თეთრი ბეჭვი აქვს, სინათლეზე იწვევს კანის ანთებას, კონიუქტივიტს ქუთუთოების შეწებებით, ცხოველს ეწყება ფხანა, ვითარდება ქოშინი, ძლიერი სისუსტე და იგი იღუპება კრუნჩევებით.

მკვეთრ სინათლეზე ეს მოვლენები შეიძლება განვითარდეს იმდენად სწრაფად, რომ „სინათლის-გან სიკვდილი“ ვითარდება რამდენიმე წუთში.

შავბეჭვიანი ცხოველები კი სინათლეზე, როგორც თეთრბეჭვიანები სიბნელეში, სრულიად ჯანმრთელები რჩებიან.

ძლიერი ფოტოსენსიბილიზატორია პემატოპორფირინი – პემოგლობინის დერივატი.

ფოტოსენსიბილიზაციის მოვლენას საერთო ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ფოტოდინამიკური ნივთიერებები გვხვდება ნივთიერებათა ცვლის პროდუქტებშიც.

პორფირინის ფოტოდინამიკური მოქმედება ყოველთვის არის სისხლში ნიშნების სახით. ფოტოდინამიკური ნივთიერებების მოქმედების არსი უკავშირდება უანგვით პროცესებს. სინათლის მოქმედებით წარმოიქმნება პეროქსიდები. უანგბადის მოცილების შემდეგ ფოტოდინამიკური პროცესი არ ვითარდება.



**პელიუმ-ნეონიანი ლაზერი
„აფლ – 1”**

**ნახევარგამტარებზე
მომუშავე ლაზერი
„უზორი”**

3.14. ლაზეროთერაპია

ლაზეროთერაპია – სამკურნალო მიზნით ისეთი ოპტიკური დიაპაზონის დაბალი ენერგეტიკული ელექტომაგნიტური გამოსხივების გამოყენება, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია ბუნებაში

ლაზერული გამოსხივება ატარებს მაღალ ენერგიას, არის მონოქრომატული, კოსერენტული და პოლარიზებული. ახასიათებს სხივების კონის მცირე გაშლა. ლაზერული გამოსხივება სხვადასხვა ქსოვილებში რეპარატიული და ცვლითი პროცესების არასპეციფიკური ბიოსტიმულატორია.

ლაზეროთერაპიის სამკურნალო ეფექტები: ანთების და შეშუპების საწინააღმდეგო, მეტაბოლური, ანალგეტიკური, ტროფიკულ-რეგენერაციული, იმუნომასტიმულირებელი, მაღესენსიბილიზებელი, ბაქტერიციდული. ლაზერით მკურნალობა

აგრეთვე აუმჯობესებს მიკროცირკულაციას ქსოვი-ლებში.

დერმატოლოგიაში ლაზეროთერაპიის გამოყე-ნების ჩვენებები: კანისა და კანქვეშა ქსოვილების ჩირქოვანი და ანთებითი დაავადებები, ტროფიკული წყლულები, ფხანია დერმატოზები, ეგზემა, ტოქსიდერმია, წითელი ბრტყელი ლიქენი.

დაავადებები, რომელთა დროს ლაზერო-თერაპიის გამოყენება უკუნაჩვენებია: აქტიური ტუ-ბერკულოზი; ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი წარმონაქმნები; სისხლის სისტემური დაავადებები; მწვავე ანთებითი და ინფექციური დაავადებები; გულ-სისხლძარღვთა სისტემის მძიმე სწრულებანი; შაქრიანი დიაბეტი; თირეოტოქსიკოზი; სამკურნალო ფაქტორის ინდივიდუალური აუტანლობა.

ლაზეროთერაპიის პროცედურების ჩატარების ტექნიკა და მეთოდიკა: დღესდღეობით სამედიცინო პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება ლაზერული აპარატურის ორი სახეობა:

– პელიუმ-ნეონიანი ლაზერები. აღნიშნული აპარატები გენერირებენ უწყვეტ რეჟიმში გამოსხივებას, რომლის ტალღების სიგრძეა 0,63 მკმ, ხოლო გამოსვლითი სიმძლავრე – 1–200 მვტ (აპარატები „აფლ-1“ (АФЛ-1), „შატლ-1“ (ШАТЛ-1), „პლატან-მ1“ („ПЛАТАН-М1“), „ატოლი“ („АТОЛЛ“) და სხვ);

– ლაზერები, შექმნილი ნახევარგამტარების ბაზაზე. გამოყოფენ ამ აპარატების 2 ტიპს. პირველი ტიპის ლაზერები უწყვეტ რეჟიმში გენერირებს გამოსხივებას, რომლის ტალღების სიგრძეა 0,67-1,3

მკმ, ხოლო გამოსვლითი სიმძლავრე – 1–50 მვტ (აპარატები „ალტპ-1“ (АЛТП-1), „ალტპ-2“ (АЛТП-2), „იზელი“ („Изель“), „ვიტა“ („Вита“) და სხვ). II ტიპის ლაზერები იმპულსურ რეჟიმში გენერირებს გამოსხივებას, რომლის ტალღების სიგრძეა 0,8-0,9 მკმ, იმპულსის სიმძლავრე – 2-15 ვტ და იმპულსის ხანგრძლივობა 10^{-7} - 10^{-9} წამია (აპარატები „უზორი“ („Узор“), „უზორ-2კ“ („Узор-2К“), „ნეგა“ („Нега“), „აზორ-2კ“ („АЗор-2К“) და სხვ).

სამეცნიერო მიზნებისთვის მრეწველობა აგრეთვე უშვებს მაგნიტოლაზერული თერაპიის აპარატებს: „ამლტ-01“ (АМЛТ-01), „მლადა“ („Млада“), „ლაზური“ („Лазурь“), „ერგა“ („Эрга“) და სხვ.

ლაზეროთერაპიის პროცედურების ჩასატარებლად ყველაზე ხშირად იყენებენ წითელი და ინფრაწითელი დიაპაზონის ოპტიკურ გამოსხივებას, რომლებიც გენერირებს სხივებს უწყვეტ ან იმპულსურ რეჟიმებში. იმპულსების თანმიმდევრობის სიხშირე $10\text{-}5000$ ჰც-ია, გამოსხივების გამომავალი სიმძლავრე – 60 მვტ.

სამკურნალო მიზნით გამოიყენება დაბალი ინტენსივობის გამოსხივება ენერგიის ნაკადის სიმკვრივით 0.2 ვტ-მდე 1 სმ 2 -ზე. სითბური ეფექტის ქვედა საზღვარი შეადგენს 0.5 ვტ/სმ 2 . ენერგიის ნაკადის სიმკვრივე, პარავერტებრული ზონების და ბიოლოგიურად აქტიური წერტილების დასხივების შემთხვევაში, შეადგენს 5-10 მგტ-ს 1 სმ 2 -ზე.

ლაზეროთერაპიის პროცედურებს ატარებენ მოხერხებულ მდგომარეობაში, მჯდომარე ან წო-

ლით პოზიციაში. სხეულის დასასხივებელი უბანი აუცილებლად უნდა გაშიშვლდეს. ავადმყოფს თვალებზე უკეთებენ დამცავ საოვალეებს. ლაზეროთერაპიის დროს ასხივებენ უშუალოდ დაზიანების უბანს, დაზიანებული უბნის კანის პროექციას ან რეფლექსოგენურ ზონებს (ლაზერული აკუპუნქტურა). ერთ ველზე ზემოქმედების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს, ხოლო დასხივების საერთო ფართობი ერთ პროცედურაზე არ უნდა იყოს 400 სმ² -ზე მეტი. მკურნალობის კურსი შედგება 10-15 კოველდიური პროცედურისგან.

ლაზერის გამოყენების უპირატესობა (დიათერმოკოაგულაციასა და კრიოდესტრუქციასთან შედარებით) კანის ახალწარმონაქმნების მოცილების დროს:

ა. სხივის მაღალი ტემპერატურა – ექსპოზიციის მოკლე პერიოდი – ირგვლივ მდგბარე ქსოვილების ნაკლები თერმული კერა;

ბ. უკონტაქტო მოცილება – ასეპტიკის წესების დაცვა;

გ. ადეკვატური პერისტაზი;

დ. წვის პროდუქტების მოცილება;

ე. მოსაცილებელი ქსოვილების ვიზუალური კონტროლის შესაძლებლობა;

ვ. ფოკუსირებული სხივი – ლაზეროდესტრუქციის შესრულების მაღალი სიზუსტე;

ზ. იმპულსის სიმძლავრის ზუსტი კონტროლი;

თ. მოხერხებული მანიპულატორი;

o. ლაზეროდესტრუქციის ზონის საჭარო გაგრი-ლება.

ბევრ პაციენტში ლაზეროდესტრუქცია გამოიყენება მკურნალობის სხვა მეთოდებთან ერთად. გავრცელების ფართო არეალის, სწრაფი ზრდის, ახალი ჩვეულებრივი მექენიზმის აქტიური წარმოქმნის დროს საჭიროა პაციენტის მომზადება, რეციდივების შემცირების მიზნით (იმუნოკორექცია, ვეგეტო-სისხლძარღვვანი დისტონიის თერაპია, ვიტამინოთერაპია და სხვ.).

3.15. ულტრაბეგერითი თერაპია და სამკურნალო ულტრაფონოფორეზი

ულტრაბეგერითი თერაპია – სამკურნალო მიზნით ადამიანის სმენისთვის მიუწვდომელი მკვრივი გარემოს 16 კჟერცის (ჰჟც) სიხშირეზე მეტი მექანიკური რხევების ენერგიის გამოყენება.

ფიზიოთერაპიულ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ულტრაბეგერა, რომლის სიხშირე ძირითადად მერყეობს 800-დან 3000 კჟერცამდე. დერმატოლოგიურ პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ულტრაბეგერა 2000-3000 კჟერცის ფარგლებში.

ულტრაბეგერის ძირითადი დოზიმეტრიული პარამეტრებია: სიმძლავრე, ინტენსივობა, რეჟიმი და ზემოქმედების ხანგრძლივობა. სიმძლავრის ქვეშ იგულისხმება ენერგია, რომელსაც ასხივებს ულტრაბეგერის აპლიკატორის მთლიანი ზედაპირი. ინტენსივობა – ეს არის 1 სმ² ფართზე 1 წმ-ში გამავალი

ულტრაბგერის ენერგია. იგი გამოისახება ვატებში სმ²-ზე ($\text{ვტ}/\text{სმ}^2$). გამოყოფენ ულტრაბგერის მცირე ($0.05-0.4 \text{ ვტ}/\text{სმ}^2$), საშუალო ($0.6-0.8 \text{ ვტ}/\text{სმ}^2$) და დიდ ($1.0-1.2 \text{ ვტ}/\text{სმ}^2$) ინტენსივობას. ულტრაბგერის ინტენსივობის გენერაციის რეჟიმი შეიძლება იყოს უწყვეტი (უწყვეტი ულტრაბგერა) და იმპულსური, როდესაც რხევები მიეწოდება ცალკეული იმპულსების სახით, ინტერვალებით. ამ დროს იმპულსების სიხშირე 50 ჰერცია, ხანგრძლივობა – 10.4 და 2 მ/წმ, ხოლო მთელი პერიოდის ხანგრძლივობის შეფარდება იმპულსის გატარების ხანგრძლივობასთან შესაბამისად ტოლია 2.5 და 10-ის. იმპულსურ რეჟიმში რხევების ერთი და იმავე ინტენსივობისას, ერთი და იმავე დროის მონაკვეთში საშუალოდ გამოსხივდება ნაკლები ენერგია, ვიდრე უწყვეტი რეჟიმის დროს. სამკურნალო მიზნით გამოყენებისას ულტრაბგერის ინტენსივობა უფრო განასაზღვრელი ფაქტორია, ვიდრე ზემოქმედების ხანგრძლივობა, თუმცა არ არის რეკომენდებული მისი ზედმეტად გახანგრძლივება. ორგანიზმზე ულტრაბგერის მოქმედების მექანიზმში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება მექანიკურ, სითბურ და ფიზიკო-ქიმიურ ფაქტორებს.

ულტრაბგერითი თერაპიის გამოყენების ჩვენები: კანისა და მისი დანამატების ანთებითი დაავადებები (სეროზული ანთების და ინფილტრაციის სტადიებში), ქავილიანი დერმატოზები (კანის ქავილი, ქავანა დერმატიტი, ნეიროდერმიტი, ეგზემა და სხვ.) და ტროფიკული წყლულები.

დაავადებები, რომელთა დროს ულტრაბგერითი თერაპიის გამოყენება უკუნაჩვენებია: არტერიული ჰიპერტენზიის III სტადია (ჯმო-ს კლასიფიკაცია); არტერიული ჰიპოტონია; გულის იშემიური დაავადება სტენოკარდიის ხშირი შეტევებით და გულის რიტმის დარღვევებით; დემპინგ-სინდრომი; კუჭის და 12-გოჯა ნაწლავის გართულებული წყლული; მწვავე და ჩირქოვანი ანთებითი პროცესები; გამოხატული ენდოკრინული დარღვევები; სიფილისი; ოსტეო-პოროზი; თრომბოფლებიტი; ავთვისებიანი სიმსივნეები; თრომბოზები და შეგუბებები მენჯის ვენებში; სისტემური წითელი მგლურა; მწვავე და ქვემწვავე დერმატომიოზიტი; ბულოზური დერმატიტი.

ულტრაბგერის გამოყენების ტექნიკა და მეთოდიკა: ულტრაბგერითი თერაპიის პროცედურების ჩასატარებლად ზოგადი პროცედურებისთვის გამოიყენება აპარატები „უზ-75“ („УЗ-75“), „უზტ-101ფ“ („УЗТ-101Ф“), „უზტ-108ფ“ („УЗТ-108Ф“) და სხვ. დერმატოლოგიაში გამოიყენება ულტრაბგერითი თერაპიის აპარატი „უზტ-302დ“ („УЗТ-302Д“).

არსებობს ულტრაბგერის გამოყენების მოძრავი და უძრავი მეთოდიკები. მოძრავი მეთოდიკის გამოყენების დროს ვიბრატორით ასრულებენ ნელ მოსმებს მასირებით ან წრიული მოძრაობებით. უძრავი მეთოდიკის გამოყენების დროს ვიბრატორი დაფიქსირებულია სხეულის განსაზღვრულ უბანზე. ულტრაბგერითი რესევების სხეულში უკეთესი განვლადობისათვის კანს და ვიბრატორის შემხებ ზედაპირებს უსვამენ გლიცერინს, ვაზელინს ან პარა-

ფინის ზეთს. დასაწყისში აწარმოებენ მოსმას, შემდეგ გადადიან წრიულ მოძრაობებზე. უძრავი მეოთხდიკის გამოყენების დროს ზემოქმედების ხანგრძლივობა და ინტენსივობა უფრო ნაკლებია, ვიდრე მოძრავი მეოთხდიკის გამოყენების დროს. პაციენტის მდებარეობა პროცედურის ჩატარებისას დამოკიდებულია დაავადებასა და ზემოქმედების არეზე. პატარა უბნებზე ზემოქმედებისას (ღრძილი, ცხვირი, ლავიწი, პაიმორის ღრუები და ა.შ.) იყენებენ წყლით ავსებულ დამატებით თავებს ან ტუბუსებს, რომლებიც ულტრაბგერის ვიბრატორზეა მიმაგრებული.

ანთებითი კერის არსებობისას (აბსცესი, პანარიციუმი), კანის მომატებული მგრძნობელობის დროს ან როდესაც ზემოქმედება წარმოებს ვიბრატორის თავის ფართზე უფრო პატარა უბნებზე, გამოიყენება წყალქვეშა მეთოდიკა. ამ დროს სხეულის იმ ნაწილზე, რომელსაც ასხივებენ, ვიბრატორის თავს ათავსებენ თბილი წყლით სავსე ფაიფურის აბაზანაში (ასეთ წყალში ნაკლებია აირის ბუშტუკები). წყალში ვიბრატორის მოძრაობას ახდენენ ნელა (ნარნარად) შესაბამისი უბნის გასწვრივ, სხეულის ზედაპირიდან 1-2 სმ-ის დაშორებით. წყალქვეშა მეთოდის გამოყენების დროს ხშირად სმარობენ რეფლექტორს სმოვანი კონის არეების მიზნით. უძრავი მეთოდის დროს, რომ ავიცილოთ ულტრაბგერის ზედმეტი სითბური ზემოქმედება, შეიძლება გამოვიყენოთ იმპულსური ზემოქმედება – ულტრაბგერის გაგზავნა ცალკეული იმპულსის

სახით განსაზღვრული დროის მონაკვეთებში. მოძრავი მეოთოდიკის გამოყენების დროს მაქსიმალური ინტენსივობაა 2 ვტ/სმ²-ზე, ხოლო უძრავი მეოთოდიკის გამოყენების დროს – 0.3-0.6 ვტ/სმ²-ზე. დაბგრებას იწყებენ მცირე ინტენსივობით და არ მიჰყავთ ტკივილის შეგრძნებამდე. პროცედურის ხანგრძლივობა მოძრავი მეოთოდის დროს 50 სმ² ფართობზე არის 3-დან 10 წუთამდე. არ შეიძლება ერთდროულად ორ უბანზე მეტის დაბგერება. უძრავი მეოთოდიკის დროს პროცედურის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს (1-5 წთ). პროცედურები ჩვეულებრივ ტარდება დღეგამოშვებით. მკურნალობის კურსზე ინიშნება 10-15 პროცედურა. განმეორებითი მკურნალობა (2-3-ჯერ) შესაძლებელია დაინიშნოს 3-4 კვირიანი შესვენების შემდეგ.

არ შეიძლება ულტრაბგერით ზემოქმედება თავისა და ზურგის ტგინზე, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის სისხლმდენ წყლულებზე, გულზე (სტენოკარდიის დროს), ფილტვებზე (ბრონქოექტაზიური დაავადების დროს), სათესლე ჯირკვლებზე, ორსულ საშვილოსნოზე.

სამკურნალო ულტრაფონოფორეზი – შეუდლებული მოქმედებით, ულტრაბგერითი რხევების საშუალებით სამკურნალო ნივთიერებების შეევანა ავადმყოფის სხეულის განსაზღვრულ უბნებში.

სამკურნალო ნივთიერებების ნაწილაკები შეაღწევენ ბიოლოგიური ქსოვილების შიგნით და ახდენენ სამკურნალო ზემოქმედებას. ულტრაბგერას შეუძლია: შემაერთებელი ქსოვილის გაფაშრება;

კანის და პისტო-ჰემატური ბარიერების შედწევადობის, წამლების დიფუზიისა და მათი მოქმედების გაზრდა; სითხეების ტრანსკაპილარული ტრანსპორტის გაძლიერება. ულტრაფონოფორეზის პროცედურების ჩატარების დროს სამკურნალო ნივთიერებას უმატებენ კონტაქტურ არეს. ულტრაბგერის მნიშვნელოვანი რადიაციული წნევის გამო წამლის მოლეკულების მოძრაობითი უნარები და საპასუხო რეაქციების სიჩქარე იზრდება, რის შედეგადაც მატულობს ორგანიზმი შედწეული წამლის რაოდენობა. წამლების შეყვანა ხორციელდება საოფლე და ცხიმის ჯირკვლების სადინარების საშუალებებით. ულტრაბგერის ველში მეტი მოძრაობის უნარი აქვთ წყალში გახსნილ სამკურნალო ნივთიერებებს.

სისხლში სამკურნალო ნივთიერებები ხვდება პროცედურიდან 1 საათში, აღწევენ მაქსიმალურ კონცენტრაციას 12 საათის შემდეგ და ქსოვილებში რჩებიან 2-3 დღე-დამის განმავლობაში. ამგვარად, სამკურნალო მოქმედება განპირობებულია სამკურნალო ნივთიერების ეფექტის პოტენციებით.

სამკურნალო ულტრაფონოფორეზის გამოყენების ჩვენები განისაზღვრება შესაყვანი ნივთიერების ფარმაკოლოგიური ეფექტისა და ულტრაბგერით მკურნალობის ჩვენებების გათვალისწინებით.

დაავადებები, რომელთა დროს სამკურნალო ულტრაფონოფორეზის გამოყენება უკუნაჩვენებია: ულტრაბგერითი თერაპიის ზოგადი უკუჩვენებები; სასქესო ორგანოების მწვავე ანთებითი დაავადებები და ტუბერკულოზი, საკვერცხეების კისტა და

კისტომა; სისხლდენა საშვილოსნოდან; აღნიშნული ფიზიკური ფაქტორის ინდივიდუალური აუტანლობა.

ულტრაფონფორეზის პროცედურების მეთოდიკა: პროცედურები ტარდება კონტაქტური და დისტანციური მეთოდიკებით. კონტაქტური მეთოდიკის დროს ზემოქმედების ზონაზე უსვამენ წამალს ხსნარის, სუსპენზიის ან მალამოს სახით, შემდეგ გამომსხივებელს აყენებენ უძრავად. წამლის ხსნარს აწვეთებენ პიპეტით და შეაზელენ კანჭი, ზემოდან ვაზელინის ზეთს გადაუსვამენ და იწყებენ დაბგრებას. დისტანციური მეთოდიკის დროს კი ულტრაფონფორეზი ტარდება ხსნარიან აბაზანაში, რომელშიც ჩასხმულია დეგაზირებულ წყალში გახსნილი სამკურნალო ნივთიერება. ხსნარის ტემპერატურაა 35-38°C. გამომსხივებელს წრიული მოძრაობებით გადაადგილებენ კანის ზედაპირიდან 1-2 სმ-ზე. ასეთი მეთოდის გამოყენება უმჯობესია არაერთგვარვანი, დიდი ზედაპირის დამუშავების დროს. ულტრაფონფორეზის შეიძლება შეხამებულ იქნას იონტოფორეზის და დიადინამიკური თერაპიის პროცედურებთან. შესაყვანი ნივთიერების დოზირება ხდება პრეპარატის რაოდენობისა და ულტრაბგერის ველში მისი ფორმეტული მოძრაობის უნარის გათვალისწინებით. პროცედურის ხანგრძლივობა 10-15 წთ-ია. პროცედურებს ატარებენ ყოველდღე ან დღეგამოშვებით. მკურნალობის კურსი მოიცავს 10-15 პროცედურას.

დერმატოლოგიურ პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ხმარობენ 0.5%-იანი პრედნიზოლონის და 1%-იანი ჰიდროკორტიზონის მაღამოებს.



ულტრაბგერითი ოერაპიის
აპარატი „უზტ – 101ფ“

თავი IV. სიცივის გამოყენება დერმატოლოგიაში

კრიოთერაპია

კრიოთერაპია – მკურნალობა სიცივით. ლოკალური კრიოთერაპია ფართოდ გამოიყენება როგორც მკურნალობის დამოუკიდებელი მეთოდი, ასევე კომბინაციაში ტრადიციულ მეთოდებთან. კრიოთერაპიის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი დადებითი ეფექტი ვლინდება კანზე, იქ, სადაც უშეალო კონტაქტია ქსოვილის დონეზე.

კრიოთერაპიის გამოყენების ჩვენებები: კრიოთერაპიის პროცედურები გამოიყენება მეჭეჭების, პაპილომების, კონტაგიოზური მოლუსკების მოსაცილებლად.

დაავადებები, რომელთა დროს კრიოთერაპიის გამოყენება უკუნაჩვენებია: პერიფერიული სისხლძარღვების პათოლოგიები (რენოს დაავადება, მაობლიტირებელი ენდარტერიიტი, ვარიკოზული დაავადება); ნამგლისებრ-უჯრედოვანი ანემია; სიცივის ინდივიდუალური აუტანლობა; 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის.

კრიოთერაპიის პროცედურების ჩატარების ტექნიკა და მეთოდიკა: კლინიკურ პრაქტიკაში გავრცელებულია სხვადასხვა სისქის და სხვადასხვა მასალის კრიოაპლიკატორები (კრიოპაკეტები), რომელთა სამუშაო ტემპერატურაა -10-დან -20°C-მდე. მკურნალობისას კრიოპაკეტებს („Cryoberg“, „Pino“ „Cryoqel“ და სხვ.) ათავსებენ კანის სათანადო ად-

გილას ქადალდზე ან ხელსახოცზე. პროცედურის ხანგრძლივობა შეადგენს 10-20 წუთს.

ხშირად სამკურნალო მიზნებით გამოიყენება ჰიპოთერმული დანადგარები „ალგ-02“ („АЛГ-02“), „ინეი-2“ („Иней-2“), „ჰიპოთერმ-1“ („Гипотерм-1“) და სხვ.

რაც შეეხება თხევადი აზოტის გამოყენების მეთოდიკას, ჩასატარებლად იგი ყველაზე იოლია. ეს საშუალებას იძლევა, რათა თხევადი აზოტი გამოყენებულ იქნას პრაქტიკულად ყველა დერმატოლოგიურ დაწესებულებაში.

აღნიშნული მეთოდის ღირსებებია:

- ა. თხევადი აზოტი არ იწვევს კელოიდური ნაწილურის წარმოქმნას;
 - ბ. ნაკლებ მტკიცნეულია;
 - გ. ახასიათებს მაღალი თერაპიული ეფექტი.
- .

თავი V. სითბოს გამოყენება დერმატოლოგიაში

5.1. პარაფინოთერაპია

პარაფინოთერაპია სამედიცინო პარაფინის სამკურნალო მიზნით გამოყენების მეთოდია.

პარაფინოთერაპიის სამკურნალო ეფექტები: ანთების საწინააღმდეგო, ანალგეტიკური, მეტაბოლური, ტროფიკული. დადგენილია, რომ პარაფინის აბაზანა ახდენს კანის გამოყენებულ უბანზე მექანიკურ ზემოქმედებას; აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას პერიფერიულ ვენებში, მიკროცირკულაციას ქსოვილებში და მათ კვებას; იწვევს კანის შეშუპების შემცირებას – გაქრობამდე.

დერმატოლოგიაში პარაფინოთერაპიის გამოყენების ჩვენებები: ფსორიაზი, ნეიროდერმიტი, დერმატოზები, კანის ნაწიბურები.

დაავადებები, რომელთა დროს პარაფინოთერაპიის გამოყენება უკუნაჩვენებია: მწვავე ანთებითი დაავადებები; ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეები; გამოხატული ათეროსკლეროზი, გულის იშემიური დაავადების დაძაბვის სტაბილერი სტენოკარდიის II-VI ფუნქციური კლასი (კანადის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); გულის უკმარისობის II-IV ფუნქციური კლასი (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); ბრონქული ასთმა; ფილტვების ემფიზემა; ქრონიკული გლომერულონეფრიტი; დვიძლის ციროზი; კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული; საკვერცხის კისტა; თირეოტოქსიკოზი; ინფექციური დაავადებები;

ორსულობის მეორე ნახევარი და ლაქტაციის პერიოდი.

პარაფინოთერაპიის პროცედურების ჩატარების მეთოდიკები: სამკურნალოდ იყენებენ უწყლო, თეთრ პარაფინს, რომლის დნობის ტემპერატურაა $52-55^{\circ}\text{C}$. პარაფინი არ უნდა შეიცავდეს ასევე ზეთსა და ფისს. ვინაიდან მას ახასიათებს მცირე სითბოგამტარობა, ამიტომ ავადმყოფს შეიძლება ჩაუტარონ მაღალი ტემპერატურის ($55-60^{\circ}\text{C}$) პროცედურა, რომელიც არასასიამოვნო შეგრძნებას არ იწვევს. ხმარების წინ ადნობენ წყლის აბაზანაში, რომლის ტემპერატურაა 65 -დან 100°C -მდე. პარაფინის გასათბობად შემოღებულია სპეციალური ხელსაწყო – პარაფინის გამობობი. იგი გამოყენებულია აგრეთვე ოზოგერიტის გასათბობად.

არსებობს პარაფინით მკურნალობის რამდენიმე მეთოდიკა: $55-65^{\circ}\text{C}$ -ის ტემპერატურაზე გამდნარ პარაფინს სამდებრო ფუნჯით უსვამენ კანზე თხელ ფენად, რომელიც სწრაფად ცივდება და წარმოიქმნება პარაფინის გარსი, რომელიც სითბოს ნაკლებგამტარია. ამის შემდეგ ამატებენ პარაფინს 1-2 სმ-ის სისქემდე და ახვევენ თხელ მუშამბაში, ბოლოს კი – საბანში. ასეთი აპლიკაციის ტემპერატურა 50° -მდეა.

პარაფინის აბაზანა ხელის მტევანზე ან ქვედა კიდურის ტერფზე ტარდება შემდეგნაირად: ხელის მტევანზე ან ქვედა კიდურის ტერფზე წაუსვამენ $50-55^{\circ}\text{C}$ -მდე გამობარ პარაფინს და ჩაუშვებენ პარაფინის აბაზანაში, რომლის ტემპერატურაა $60-65^{\circ}\text{C}$.

აბაზანას აკეთებენ ხისგან ან მუშამბის ტოპრა-
კისგან.

პარაფინის პროცედურა შეიძლება ჩატარონ
საფენ-აპლიკაციური მეთოდით: ფუნჯით უსვამენ 0.5
სმ სისქის პარაფინის ფენას და ახვევენ $65-70^{\circ}\text{C}$
ტემპერატურის პარაფინში გაუღენთილ დოლბანდის
რამდენიმე ფენაში, ზევიდან აფარებენ მუშამბას და
შემდეგ – საბანს.

პარაფინის პროცედურის ხანგრძლივობა 30-დან
60 წუთამდეა, მკურნალობის კურსი კი 12-20
პროცედურისაგან შედგება.

5.2. ოზოკერიტოთერაპია

ოზოკერიტი, ანუ მთის ცვილი, ბუნებრივი
ნახშირწყალბადია, რომელიც მიეკუთვნება ნავთო-
ბის ბითუმების ჯგუფს. მისი მაღნები მოიპოვება
თურქმენეთში – ჩიკენტში, დასავლეთ უკრაინაში –
კარპატებში და სხვ.

ოზოკერიტი სამკურნალოდ გამოიყენა 1942 წელს
ს.ს. ლევსკიმ. II მსოფლიო ომის დამთავრების
შემდეგ მან მოაწყო ოზოკერიტით სამკურნალო
კურორტ ტრუსკავეცში, რომელიც განთქმულია
მინერალური წყლებით.

ოზოკერიტი შეიცავს ცერეზინს, პარაფინს,
მინერალურ ზეთს, ნავთობის ფისს, გოგირდიან
ნაერთებს და სხვ. ოზოკერიტს სხვა თერმოთერა-
პიულ საშუალებებთან შედარებით (პარაფინი, თიხა,
ლამისა და ტორფის ტალახი და სხვ.) მაქსიმალური

სითბოტევადობა და მინიმალური სითბოგამტარობა ახასიათებს. იგი ნელ-ნელა ცივდება და ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადასცემს სითბოს ორგანიზმს. ავადმყოფები ადგილად იტანენ თხოკერიტის პროცედურას $60-70^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის დროსაც კი. თხოკერიტის ეფექტს ძირითადად მისი თერმული და ქიმიური მოქმედებით ხსნიან, თხოკერიტში შემცველი ცერეზინი კანიდან ხვდება ორგანიზმში და გავლენას ახდენს მასზე.

თხოკერიტოთერაპიის სამკურნალო ეფექტები: ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, მაღესენსიბილიზებელი და ანტისეპტიკური მოქმედება.

თხოკერიტის თერაპიული ეფექტურობა უფრო მაღალია, ვიდრე პარაფინის. დადგენილია, რომ ოთხოკერიტი ზემოქმედებს ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე და ზრდის პარასიმპათიკური ნერვული სისტემის ტონუსს. იგი აგრეთვე, პროცედურის ჩატარებისას, ისევე როგორც პარაფინი, ახდენს მექანიკურ ზეგავლენას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას ვენებში, მიკროცირკულაციას ქსოვილებში და მათ კვებას; იწვევს შეშუპების შემცირებას – გაქრობამდე.

დერმატოლოგიაში თხოკერიტოთერაპიის გამოყენების ჩვენებები: ეგზემა, ნეიროდერმიტები, ნაწიბურები, ჭრილობები, რომლებიც ძნელად ექვედებარება შეხორცებას.

დაავადებები, რომელთა დროს თხოკერიტის გამოყენება უკუნაჩვენებია: იგივე, რაც პარაფინოთერაპიის დროს.

**ოზოკერიტოთერაპიის პროცედურების ჩატარების
მეთოდიკები:** სამკურნალოდ გამოყენებისთვის
ოზოკერიტი უნდა გაათბონ გარკვეულ ტემპერა-
ტურამდე. მისის დნობის ტემპერატურაა 52-68°C. ამ
მიზნით შეიძლება გამოიყენონ პარაფინის ელექტრო-
გამთბობი. ოზოკერიტით მკურნალობის მეთოდიკა
ისეთივეა, როგორიც პარაფინით მკურნალობისას:
კანზე ფენის წასმა ფუნჯით, მერე შეფუთვა.

ოზოკერიტოთერაპიის პროცედურის ხანგრძლი-
ვობა 30-60 წუთია. პროცედურას ატარებენ დღეგა-
მოშვებით ან ორი დღე ზედიზედ, მესამე დღეს გამო-
ტოვებენ. მკურნალობის კურსია 10-15 პროცედურა.

5.3. თიხით მკურნალობა

თიხა სითბოგამტარობით, სითბოტევადობითა და
ელასტიკურობით ხელსაყრელი თერმოთერაპიული
საშუალებაა, თიხა ადამიანის ორგანიზმზე მოქმე-
დებს თერმული, ქიმიური და მექანიკური ფაქ-
ტორებით. წამყვანი ფაქტორია თერმული ფაქტორი.
იგი თავისი მოქმედებით ემსგავსება სამკურნალო
ტალასს, გამოიყენება ტალახის ნაცვლად, როცა ეს
უკანასკნელი არა აქვთ.

თიხების სამკურნალო ეფექტები: ანტიტოქსი-
კური, ანთების და შეშუპების საწინააღმდეგო, მა-
დესენსიბილიზებელი, რეგენერაციული და ტროფი-
კული. დადგენილია, რომ თიხით მკურნალობა იწ-
ვევს ადგილობრივი მეტაბოლიზმის და ადგილო-
ბრივი იმუნიტეტის სტიმულაციას, სისხლის, ლიმ-

ფისა და კანის გაწმენდას; ახდენს ანტისეფსისურ ზეგავლენას.

დერმატოლოგიაში თიხით მკურნალობის გამოყენების ჩვენებები: ეგზემა; ფსორიაზი; ჭრილობები, რომელთა შეხორცება მიღის ნელა; ტროფიკული წყლულები, დერმატიტები, სებორეა, კანის სოკოვანი დაავადებები.

დაავადებები, რომელთა დროს თიხით მკურნალობა უკუნაჩვენებია: ტუბერკულოზი; ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი ახალწარმონაქმნები; სისხლდენებისკენ მიღრეკილება; კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული; ციებცხელებიანი მდგომარეობა; გულის უკმარისობის II-IV ფუნქციური კლასი (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); არტერიული ჰიპერტენზიის II-III სტადიები (ჯმო-ს კლასიფიკაცია); გამოხატული ათეროსკლეროზი; ღვიძლის ციროზი; ნეფრიტი, ნეფროზი; მწვავე ჩირქოვანი ანოებები; ორსულობა.

სამკურნალოდ დერმატოლოგიაში ძირითადად გამოიყენება ცისფერი და მწვანე თიხები. თიხას აშრობენ, შემდეგ დაფქვავენ, გაცრიან და აზელენ. ყოველ 6-7კგ. უმატებენ 1 ლიტრ წყალს. მოზელილ თიხას ათბობენ წყლის აბაზანაზე 42-45°C-მდე. მომზადებულ თიხას იყენებენ აპლიკაციების სახით. პროცედურის ხანგრძლივობა 20-30 წუთია. პროცედურებს ატარებენ დღეგამოშვებით ან ორი დღე ზედიზედ, მესამე დღეს გამოტოვებენ. მკურნალობის კურსი 12-15 პროცედურისაგან შედგება.

5.4. ქვიშით მკურნალობა

ქვიშით მკურნალობა, ანუ ფსამოთერაპია, თერმოთერაპიული საშუალებაა, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივად ან ხელოვნურად გამობარი ზღვის ან მდინარის ქვიშის აბაზანების მიღებას.

ქვიშის აბაზანისთვის იყენებენ კარგად გარეცხილ ქვიშას, რომელიც შედგება წვრილი ან საშუალო ზომის მარცვლებისგან.

ქვიშის აბაზანების მიღების სამკურნალო ეფექტები: ფსამოთერაპიის სამკურნალო ეფექტი განპირობებულია ქვიშის აბაზანების ტემპერატურული და მექანიკური ფაქტორების შესაძებული მოქმედებით ავადმყოფ ორგანიზმზე. აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედება ადამიანში იწვევს სისხლის და ლიმფის მოძრაობის აქტივიზირებას, ოფლის გამოყოფის გაძლიერებას, კანის გაწმენდას, ჟანგითი პროცესების გაძლიერებასა და ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებას, თირკმლების ფუნქციების შემსუბუქებას და სხეულის მასის შეცირებას. დადგენილია აგრეთვე ქვიშის აბაზანების მიღების ანალგეტიკური ზეგავლენა.

დერმატოლოგიაში ფსამოთერაპიის გამოყენების ჩვენებები: ფსორიაზი და დერმატიტები.

დაავადებები, რომელთა დროს ფსამოთერაპიის გამოყენება უკუნაჩვენებია: დაავადებები მწვავე პერიოდში; ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი ახალწარმონაქმნები; ციებცხელებიანი მდგომარეობები; ტუბერკულოზი; გულის იშემიური დაავადების დაძაბვის სტაბილური სტენოკარდიის III-IV ფუნქციური კლასი (კანადის კარდიოლოგთა

ასოციაციის კლასიფიკაცია); გულის უპმარისობის II-IV ფუნქციური კლასი (ნიუ-იორკის კარდიო-ლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); არტერიული ჰიპერტენზიის II-III სტადია (ჯმო-ს კლასიფიკაცია).

ქვიშის აბაზანების გამოყენების მეთოდიკა: ქვიშას ათბობენ მზეზე ან ხელოვნურად, ავადმყოფებს აწვენენ ცხელ ქვიშაზე და ყოველ მხრიდან აყრიან 8-10 სმ-ის სისქის ფენის ქვიშას (მუცელზე 4-5 სმ-ის სისქის ქვიშის ფენა). თავის არე უნდა იყოს დაცული მზისგან. გულის არე თავისუფალი უნდა იყოს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური თბობის ქვიშისგან. ქვიშის აბაზანა შეიძლება გამოიყენონ ზოგადი და ადგილობრივი (სხეულის რომელიმე ნაწილზე) პროცედურებისთვის. ქვიშის ზოგადი აბაზანების მიღების ხანგრძლივობა 20-30 წუთია, ხოლო ადგილობრივი პროცედურებისა – 30-60 წუთი. ქვიშის ზოგად აბაზანებს უნიშნავენ დღეგამოშვებით, ხოლო ადგილობრივს – ყოველ-დღე. ქვიშის აბაზანებით მკურნალობის კურსი 15-25 პროცედურისაგან შედგება. აბაზანის მიღების შემდეგ ავადმყოფს უნიშნავენ ნელთბილ შხაპს ($36-37^{\circ}\text{C}$ -მდე) და ასვენებენ 20-60 წუთს.

ლიტერატურა

1. დგებუაძე მ. ფიზიოთერაპია. თბილისი, გამოცემლობა „განათლება”, 1994.

2. таრხან-მოურავი ი. სამედიცინო კლიმატოლოგია ზოგადი კლიმატოლოგიის ელემენტებით (სახელმძღვანელო). თბილისი, „მთაწმინდელი“, 2011.
3. სააკაშვილი ნ., თარხან-მოურავი ი., ტაბიძე გ., ქუთათელაძე ნ. საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია. თბილისი, „საქართველოს მაცნე“, 2011.
4. შავიანიძე თ., შავიანიძე გ., თევზაძე გ., შავიანიძე გ. საქართველოს კურორტების, კურორტოლოგისა და მეკურორტების ცნობარი. ქუთაისი, 1995.
5. Goodman C. Differential diagnosis for physical therapists. Montana, „Medical multimedia group“, 2017.
6. Илларионов В.Е., Симоненко В.Б. Современные методы физиотерапии. М. „Медицина“, 2007.
7. Курортология и физиотерапия. Книга I. М. „Бином“, 2016.
8. Пономаренко Г.Н. Основы физиотерапии. М., „Медицина“, 2008.
9. Пономаренко Г.Н. Общая физиотерапия. М., „ГЭОТАР-Медиа“, 2014.
10. Пономаренко Г. Н., Абрамович С.Г., Адилов В.Б. Физиотерапия: национальное руководство. М., „ГЭОТАР-Медиа“, 2014.
11. Романовская С.В. Основы общей физиотерапии. Учебно – методическое пособие. М., „ГБОУ ВПО РНИИУ им. Пирогова МЗ России“, 2015.
12. Твирская О.И., Бывальцева С.Ю. Физиотерапия стоматологических заболеваний. Учебно-методическое

- пособие для аудиторной работы студента. Иркутск,
„ИГМУ“, 2012.
13. Техника и методика физиотерапевтических процедур
(справочник). Тверь, „Губернская медицина“, 2017.
14. Улащик В.С. Большой справочник физиотерапевта.
Минск, „Книжный дом“, 2012
15. Улащик В.С. Физиотерапия. Новейшие методы и
технологии. Справочное пособие. Минск. Книжный
дом, 2013.
16. Улащик В.С. Лукомский И.В. Общая физиотерапия.
Минск, „Интерпресссервис- Книжный дом“, 2003.
17. Ушаков А.А. Практическая физиотерапия. М.,
МИА“, 2013.
18. Яворский Б. М., Детлаф А. А. Справочник по
физике. М., „Наука“, 1980.

სპეციალურობა

თავი I. სამკურნალო ფიზიკი განტორების
გამოყენება დერმატოლოგიაში ----- 4

თავი II. ბუნებრივი სამკურნალო ფიზიკური ფაზტორების გამოყენება დერმატოლოგიაში - 6	
2.1. კლიმატური ფაქტორებისა და თაღასოთერაპიის გამოყენება დერმატოლოგიაში -----	7
2.2. ბალნეოლოგიური ფაქტორებისა და პელოიდების გამოყენება დერმატოლოგიაში -----	10
თავი III. ფიზიოთერაპიული ფაზტორების გამოყენება დერმატოლოგიაში - 20	
3.1. გალვანიზაცია და იონტოფორეზი -----	20
3.2. ელექტროძილი -----	26
3.3. მოკლეიმპულსური ელექტროანალგეზია -----	31
3.4. დიადინამიკური დენები (ბერნარის დენები) ---	34
3.5. ინტერფერენციონური დენები -----	40
3.6. დარსონვალიზაცია -----	43
3.7. ფრანკლინზაცია (მაღალი ძაბვის მუდმივი ელექტრული ველი) -----	47
3.8. აეროიონოთერაპია -----	51
3.9. უმსვ-თერაპია (თერაპია ულტრამაღალი სიხშირის ველებით -----	53
3.10. მაგნიტოთერაპია -----	59
3.11. სანტიმეტრული ტალღოვანი თერაპია -----	63
3.12. სინათლით მკურნალობა -----	66
3.13. ფოტოსენსიბილიზაცია -----	91
3.14. ლაზეროთერაპია -----	93
3.15. ულტრაბეგერითი თერაპია და ულტრაფონო- ფორეზი -----	97
თავი IV. სიცივის გამოყენება დერმატოლოგიაში 105	

თავი V. სითხოს გამოყენება დერმატოლოგიაში	107
5.1. პარაფინოთერაპია	107
5.2. ოზოკერიტოთერაპია	109
5.3. თიხით მკურნალობა	111
5.4. ქვიშით მკურნალობა	113
ლიტერატურა	115

რედაქტორი	ავთანდილ თარხიშვილი
კომპიუტერული	
უზრუნველყოფა	რუსულან მუსერიძე
კორექტორი	ლალი გაბუნია
ტირაჟი	100 ეგზემპლარი

სამკურნალო ფიზიკური ფაქტორების გამოყენება დერმატოლოგიაში

თბილისი: თბპ, 2018